

საქართველოს
თავისუფლების
სამსახურის
გარეუბნის
გარეუბნი



ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ რ ა მ ბ ე

19 თბილისი 61

№ 1 (15)



სარედაქციო კოლეგია: ალიო აღაშია, ვერიკო ანჯაფარიძე,
თამარ ბაჭრაძე, ითარ ევაძე, ლილი
ლომთათიძე, ზალვა მებურიშვილი,
ნინო შვანბერიძე

მისასაღებელ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ორგანო „მოამბემ“ კვლავ გაანახლა თავისი მუშაობა.

მართალია მას ვიწრო და სფეციფიური მიზანი აქვს დასახული, მაგრამ ეს არ ამცირებს მის მნიშვნელობას, რადგან „მოამბეში“ მოთავსებული მასალები აჯამებენ საქ. თეატრალური საზოგადოების მიერ ჩატარებულ მუშაობას და აღწესსავე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას, მომხდარს ჩვენ თეატრალურ ცხოვრებაში.

ის გარემოება, რომ თეატრალურ საზოგადოებას არა აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს „მოამბეს“. მისი შინაარსი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ მომხდარ ფაქტების აღწესებით, რომელიც ალბათ თავის დროზე გამოადგებათ თეატრალური ისტორიის მკვლევარებს, „მოამბემ“ უნდა განაზოგადოს ეს ფაქტები, გააშუქოს საბჭოთა თეატრალური კულტურის განვითარების გზები, ბევრი რამ ჩვენ თეატრების ყოველდღიური ცხოვრებიდან აღურიცხავი და შეუსწავლელი რჩება. განსაკუთრებით ეს პერიფერიულსა და სახალხო თეატრებზე ითქვამს, საჭიროა ის რეცენზიები, რომელიც საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში თავს იყრის და სხვადასხვა ტექნიკური მიზეზების გამო არ ქვეყნდება პრესაში, დაბეჭდილ იქნას ჩვენ „მოამბეში“, რათა შემდეგ საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდეს.

მართალია, შინამომსახურებისათვის განკუთვნილი ბეჭდვითი ორგანო, რომლის ტირაჟიც არ აღემატება 150 ცალს მთლიანად ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი თეატრალური საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნილებას, მაგრამ ეს ერთგვარი იმპულსი იქნება,

რათა ცხოვრების მიერ დასმული აქტუალური საკითხი მსჯელობის საგანი გახდეს.

მაგალითად, 1960 წლის მანძილზე საქ. თეატრალური საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობა ბევრ მხრივ არის საინტერესო და საგულისხმო. საქ. თეატრალური საზოგადოების მეხუთე მოწვევის მეოთხე პლენუმმა, რომლის თემაც „კრიტიკა და ჩვენი თეატრალური სინამდვილე“ იყო, დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი საჭირობო-ტო საკითხი დასვა. ამ საკითხების ფიქსაცია, მათი შესწავლა, ხოლო შემდეგ კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვა და მათი ცხოვრებაში გატარება საქ. თეატრალური საზოგადოების გადაუდებელი საქმეა. ასევე საინტერესო და ცხოველმყოფელი იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და კულტურის სამინისტროს მიერ მოწვეული სახალხო თეატრების მუშაკთა თათბირი. ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, თუ რა ქმედითი მონაწილეობა უნდა მიიღოს საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ სანახაობითი ამ ახალი ფორმის სრულყოფისათვის.

მომე რესპუბლიკებიდან საქართველოში ჩამოსული თეატრალური კოლექტივების სპექტაკლების განხილვამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. საქართველოს თეატრალური საზოგადოება ცდილობდა ამ განხილვებს საქმიანი და პრინციპული ხასიათი ჰქონოდა, თავისუფალი ყოფილიყო სახეიმო განწყობილებისაგან. ჩამოსული კოლექტივების აზრით ჩვენმა განხილვებმა სწორედ ამ პრინციპულ დონეზე ჩაიარა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების „მოამბის“ სისტემატური გამოცემა კვარტალში ერთხელ, ხელს შეუწყობს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობას და იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელსაც ჩვენგან მოითხოვს საბჭოთა თეატრალური საზოგადოებრიობა.

დ ი ს კ უ ზ ი

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის საგანგებო სპექტაკლებზე

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1960 წლის 20 ივნისს მოაწყო დისპუტი ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრის საგანგებო სპექტაკლებზე.

დისპუტი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ შიხეილ მრეველიშვილმა.

— ყველას მოგესხენებათ, — თქვა ამხ. მ. მრეველიშვილმა, — თუ რა დიდი ტრადიციაა, რა დიდი წარსული აქვს ქუთაისის თეატრს, თუ რა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა მან ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიაში. დღესაც ჩვენ კიდევ ერთხელ გავხდით მოწმენი იმისა, თუ რაოდენ კარგი და ჯღერადი იყო სპექტაკლები, რომლებიც უჩვენა თბილისელებს ქუთაისის თეატრმა, რომელსაც მეთაურობს სსრკ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი აკაკი ვასაძე. მე დარწმუნებული ვარ, ჯანმრთელ, პრინციპულ, მეგობრულ ვითარებაში გაიზლება ჩვენი დისკუსია.

დაამთავრა რა შესავალი სიტყვა, მიხ. მრეველიშვილმა სიტყვა ძირითადი მოხსენებისათვის მოსცა ცნობილ კრიტიკოსს ბესარიონ ჟღენტს.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის საგანგებო სპექტაკლებზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, — განაცხადა მომხსენებელმა. — ჩვენ ვნახეთ რა საგანგებო სპექტაკლები შეგვიძლია დავასვენათ, რომ ქუთაისში მუშაობს თეატრი, რომელსაც შესწევს ძალიან შეეჯიბროს რუსთაველის სახ. და მარჯანიშვილის სახ. თეატრებს, და საერთოდ, ღირსეულად დაიცვას ჩვენი თეატრალური ხელოვნების დიდი სახელი იმ ამოცანების გადაწყვეტით, რომელიც ჩვენი ხელოვნების და ჩვენი თეატრის წინაშე დგას.

ქუთაისის თეატრის დიდი დამსახურება და ღირსება ის არის, — განაგრძო მომხსენებელმა, — რომ მან შესძლო თანამედროვეობის თემზე დაწერილი პიესების დადგმა აყვანა მაღალ სოციალურ ჯღერადობამდე და მხატვრული ღირსების მხრივ გაეტოლებია ისინი სპექტაკლ „მოკეთილისთვის“. ქართულ თეატრში საერთოდ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს თანამედროვე თემზე შექმნილ დრამატურგის ანუ მარტო რაოდენობრივად, არამედ ხარისხობრივადაც. თუ ჩვენ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ქუთაისის თეატრის მუშაობას, უნდა აღვნიშნოთ, ამ თეატრის მეტად სწორი, პრინციპულად საღი დამოკიდებულება რეპერტუარის საკითხისადმი.

შემდეგ მომხსენებელმა ცალ-ცალკე განიხილა საგანგებო სპექტაკლები, შეჩერდა როლების შემსრულებლებზე და დაასკვნა: „ქუთაისის თეატრში მუშაობს ახალგაზრდა და ძველი თაობის მსახიობთა შესანიშნავი დასი, რომელიც ქმნის ბრწყინვალე რეალისტურ სპექტაკლებს, ცოცხალ ადამიანთა დამაჯერებელ სახეებს. ჩვენი დიდი სურვილია, რომ ქუთაისის თეატრის მომავალ განვითარებაზე გვენახოს მეტი სიახლე მის შემოქმედებაში. ქუთაისის თეატრის, როგორც პირველხარისხიანი ქართულ თეატრის მუშაობის გაშუქებას და პოპულარიზაციას, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. საქ. თეატრალურმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ჩვენი პრესა ეხმარებოდეს ქუთაისის თეატრს, უნდა მივედწიოთ იმას, რომ ქუთაისის თეატრი წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოდიოდეს დედაქალაქში და ჩამოქონდეს 4, 5 სპექტაკლი და მათ შესახებ იმართებოდეს დისკუსია. ყველაფერი ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენ თეატრალურ ხელოვნებას“.

ნებას. ქუთაისის თეატრის მუშაობისათვის უნდა შეიქმნას უფრო ხელსაყრელი და წინა-ხალისებელი პირობები, რომ მას მიეცეს უფრო მეტი შესაძლებლობა ახალ-ახალი მიღწევებით გაამდიდროს ქართული თეატრალური კულტურა. ჩვენთვის არაფერი ისე ძვირფასი და საამაყო არ არის, როგორც ჩვენი ერის კულტურა. ჩვენ ვალდებული ვართ ქართული საბჭოთა თეატრი ავიყვანოთ ისეთ სიმაღლეზე, როგორც ეს შეეფერება კომუნისტური მშენებელ ხალხის სულიერ მოთხოვნილებებს და მის დიდ ტრადიციებს.

შემდეგი მოხსენება თემაზე: „სასცენო მეტყველების საკითხები ლ. მესხიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრში“ — წაიკითხა მაღალი კორექტიორი ვ. ი. მ. ა. მომხსენებელმა, განიხილა რა საერთოდ სასცენო მეტყველების საკითხები, თქვა: ქართული სასცენო მეტყველებას, სიტყვის აზრობრივ დანიშნულებასა და გარეგნულ გამოხატულებას მუდამ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. თითქმის არ არის წარსულში ქართულ თეატრში მომუშავე გამოჩენილი პიროვნება, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თავისი ყურადღება არ შეეჩერებინოს სასცენო მეტყველების საკითხებზე. მომხსენებელმა მოიყვანა ჩვენი სახელოვანი მოღვაწეების მრავალი საინტერესო აზრი და შეხედულება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მეტყველებდეს მსახიობი სცენაზე.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა ის ფაქტობრივი მსახიობები როგორც საშუალო თაობიდან, ისე ახალგაზრდობიდან, რომლებიც გამოირჩევიან თავისი ნიჭიერებით, სცენურობით, გამომსახველობით, ვერ აჩქლავებენ დახელოვნებას ქართული სიტყვის სწორ და მართებულ წარმოთქმაში. დიდ უხერხულობას ვგრძნობ იმის გამო, — ამბობს მომხსენებელი. — რომ იძულებული ვარ ეს ჩამორჩენა ვუსაყრდელურო ისეთ მოწინავე თეატრის წამყვან ძალებზე, როგორიც არიან ქუთაისის სახელმწიფო თეატრში. თავისი დებულების დასამტკიცებლად მომხსენებელს მოჰყავს დამაჯერებელი მაგალითები ქუთაისის თეატრის მსახიობთა სასცენო მეტყველების პრაქტიკიდან.

მოხსენება თემაზე „ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის საგაქროლო სპექტაკლების მხატვრული გაფორმება“ გააკეთა მხატვარმა შალვა ჟორჯოლაძემ.

განიხილა რა სპექტაკლების „მოკვეთილის“

„შემობრუნების“, „ყვარყვარე თუთაბერის“ მხატვრული გაფორმება, რომელიც ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ფარნაოზ ლაპიაშვილს — მომხსენებელმა თქვა, — ფ. ლაპიაშვილმა მისთვის ჩვეული დიდი გამოგონებით და ოსტატობით, ფერების შესანიშნავი შეხამებით, კომპოზიციის დიდი გრძობით გააფორმა სამივე შემოხსენებული სპექტაკლი. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს მომხსენებელი სპექტაკლ „კოლხეთის ცისკარის“ მხატვარ-გამომომხსენებელს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს დიმიტრი თავაძეს, სპექტაკლი „თვალუწედენილი სივრცეების“ მხატვრული გაფორმების ავტორს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ირინა შტენბერგს, — შესანიშნავ მხატვარ ქალს, რომელიც ქმნის მოხდენილ სცენურ კომპოზიციებს და იჩენს გამომგონებლობის დიდ უნარს ეპოქის თავისებურებათა გადმოცემაში. მომხსენებლის დასკვნით, ლაკონურად და ფაქიზი გემოვნებით აქვთ გადაწყვეტილი მხატვ. დიმიტრი თავაძეშვილს სპექტაკლ „თხუნულას“ და მხატვარ პეტრე აიტიის სპექტაკლ „ოტელოს“-ს მხატვრული გაფორმება.

საერთოდ ქუთაისის თეატრში, — სთქვა შ. ჟორჯოლაძემ, სპექტაკლების გაფორმების საქმე ყარგად არის დაყენებული, მაგრამ მაინც ეგრძნობა, რომ ასეთ დიდ თეატრს მუდმივი მხატვარი დამდგმელი არა ჰყავს და მოწვეული მხატვრების შთანაფიქრის განხორციელება ხელში უვარდებათ არაპროფესიონალებს. ახლო მომავალში ეს ნაკლები უნდა გამოსწორდეს. დღეს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანა მიეცით თეატრს კვალიფიციური თეატრალური მხატვარი — გამომგონებელი, რომელიც არ გადატვირთავს სცენას ზედმეტი ელემენტებით, ანგარიშს გაუწევს რა თეატრის მატერიალურ ბაზას, სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას გადაწყვეტს ეპოქის და ხალხის სულისკვეთების შესაბამისად.

ქუთაისის თეატრის დადგმების შესახებ გამართულმა დისპუტმა ვაცხოველებული ხასიათი მიიღო. სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. სიტყვის უძლიერესი იარაღია, სთქვა მან, — რომლითაც მსახიობი შთაბეჭდილებას ახდენს

შეყურებელზე. ამიტომ ყოველი სიტყვა მსახიობის მიერ ისე უნდა იყოს დამუშავებული, როგორც მჭრელი იარაღი. ეს უნდა გაითვალისწინოს მსახიობმა და თავისი სასცენო მეტყველება აიყვანოს იმ დონემდე, რომ სიტყვის საშუალებით შესძლოს მოცეპულ ხასიათების გამოკვეთა.

თეატრმცოდნე დოკ. დ ი მ ი ტ რ ი ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე მ ი ლ ა პ ა რ ა კ ა რ ა თეატრის საპირობოროტო საკითხებზე, ასე დაახასიათა მესხიშვილის სახ. თეატრი: «ქუთაისის თეატრის წამყვანი მსახიობები ერთ დღეს რომ მთავარ როლებს ასრულებენ, მეორე დღეს მასობრივ სცენებში გამოდიან. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ისინი მოწოდების სიმძლავრეზე დგანან. თეატრმა იმიტომ გაიმარჯვა, რომ ასეთი კოლექტივისტური ეთიკა არის დანერგილი მათ შემოქმედებით მუშაობაში. ვუსურვოთ მათ ეს ეთიკა შეენარჩუნებინათ და განეფითარებინათ, ვუსურვოთ რომ ყოველთვის მტკიცედ დაეცვათ თავისი თეატრის მხატვრული ღირსება. შემდეგ ორატორი შეჩერდა რა ცალკეულ შემსრულებლებზე, აღნიშნა: უკანასკნელი წლების მანძილზე მსახიობი იპოლიტე ხეჩია ღიღი წარმატებით გამოდის სცენაზე. იშვიათია კომიკოსი აქტიორი, რომელიც ასე ბრწყინვალედ ჩანდეს სცენაზე. ეს არის არა მარტო

მისი დიდი გამარჯვება, გამარჯვება მარტო ქუთაისის თეატრისა, არამედ საერთოდ ქართული თეატრისა. ი. ხეჩია აღჭურვილია ზომიერების გრძობით, მისი განსახიერებით აღძრული სიცილი ღრმავარგანია. მსახიობის გამომსახველი საშუალებები უაღრესად ლაკონურია, მაგრამ ბევრის მოქმელი. ასეთი მსახიობის ნახვა სცენაზე ნამდვილი სიხარულია.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ლ ა ვ რ ო ს ი კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე , ე რ . ქ ა რ ე ლ ი შ ვ ი ლ ი , ნ ა დ ე ჟ დ ა შ ა ლ შ ტ ა შ ვ ი ლ ი , ა მ ი რ ა ნ ა ბ შ ი ლ ა ვ ა .

დისპუტის დასასრულს სიტყვით გამოვიდა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. დრამატული თეატრის ხელმძღვანელი, სსრკ სახალხო არტისტი ა კ ა კ ი ვ ა ს ა ძ ე . მან თეატრის კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა თეატრალურ საზოგადოებას და კულტურის სამინისტროს გულთბილი ყურადღებისათვის. უღრმესი მადლობა იმ შენიშვნებისათვის, რომლებიც აუცილებლად დაგვეხმარება ჩვენ შემდგომ მუშაობაში. ჩვენ ვეცდებით ნდობა და იმედი, სიყვარული და პატივისცემა გავამართლოთ და ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრი კიდევ უფრო მომზადებული ჩამოვიყვანოთ შემდეგ გასტროლებზე.

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური

დრამატული თეატრის სახელობის სპექტაკლებზე

ერთ თვეზე მეტს იმყოფებოდა თბილისში საგასტროლოდ მოძმე აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამატიკული თეატრი. გასტროლები დაიწყო 1960 წლის 3 ივნისს და გასტანა 5 აგვისტომდე.

თეატრმა 11 საუკეთესო დადგმა უჩვენა და თბილისელ მაყურებელს თავი გააცნო, როგორც საინტერესო შემოქმედებითა კოლექტივმა, რომელიც სამართლიანად იმსახურებს მოწონებასა და სიყვარულს.

1960 წ. 26 ივლისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების განხილვა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავდღომარემ მიხეილ მრევლი შვილიშვილმა შესავალ სიტყვაში ილაპარაკა იმ დიდი საუკეთესოების მეგობრობის შესახებ, რომელიც ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს შორის არსებობს. ეს მეგობრობის გრძნობა იყო ის ქმედითი ძალა, რომელმაც განაპირობა აზერბაიჯანული თეატრისადმი ჩვენი მაყურებლის დიდი ინტერესი და წარმატება. — თქვა მ. მრევლიშვილმა. მან მოკლედ დაახასიათა მ. აზიზბეკოვის სახელობის თეატრი, როგორც ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული, შესანიშნავი ტრადიციების მქონე დიდი და საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი, რომ ეს ტრადიციები ცოცხლობენ იმ ფერადოვან და ამადლელებენ სპექტაკლებში რომლებითაც იგი გაეცნო ჩვენს მაყურებელს.

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამის თეატრის საგასტროლო სპექტაკლების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. სსრ სახალხო არტისტმა არჩილ ჩხარტიშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ

ბაქოს თეატრის სტუმრობა მნიშვნელოვანი მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი რესპუბლიკის თეატრალურ ცხოვრებაში, რამაც საშუალება მოგვცა ახლო გავცნობოდით მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის შესანიშნავ ხელოვნებას, გავვეცნო მათი ნიჭიერი მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები და დრამატურგთა შემოქმედება.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მ. აზიზბეკოვის სახელობის თეატრი წარმოადგენს მშვენიერ შემოქმედებით კოლექტივს, აღზრდილს იმ შესანიშნავ ნაციონალურ ტრადიციებზე, რომლებიც აზერბაიჯანული თეატრალური ხელოვნების ფუძემდებლის მირზა ფატალი ახუნდლოვიდან მომდინარეობს. ამ ტრადიციებზე აღიზარდა აზერბაიჯანელ მსახიობთა ის საუცხოო თაობა, რომელიც არა მარტო უვლიდა და ინახავდა, არამედ შემოქმედებითად ანვითარებდა მას. ზეინალი ვი, უსეინ არაბლინსკი, სიდგი რუსული, მირზა ალა ალიევი, შერიფ ზადე სარაბსკი, შერიფ ზადე აბასოვი, უფრო მოგვიანებით კიაზიმ ზია, იდაია ზადე ტახმასიზი, მარზია დავუდოვა, მუსტაფა მარდანოვი, ალი კუბანოვი — მოღვაწენი, რომელთაც შექმნეს სასცენო ხელოვნების ბრწყინვალე რეალისტური სკოლა, თამაშის რეალისტური მანერა. აზიზბეკოვის სახელობის თეატრის დღეს აქვს მკვეთრად გამოვლენილი შემოქმედებითი სახე, რომელიც თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის ადილ ისკანდეროვის დახასიათებით, რომატიულად ზეაწეულ და მონუმენტურ იერს ატარებს.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა თეატრის საგასტროლო რეპერტუარზე და აღნიშნა, რომ იგი მრავალმხრივ იყო საინტერესო,

უპირველესად, თავისი ჟანრული და თემატიკური მრავალფეროვნებით.

უდავოდ, დადებითი შეფასების ღირსია, — თქვე მომხსენებელმა, — ის გარემოება, რომ თეატრის ვრცელ საგასტროლო რეპერტუარში ხუთი სპექტაკლი საბჭოთა თემატიკაზე შექმნილი. ესენია აზერბაიჯანელი კლასიკოსის ჯაფარ ხანის დრამა „ალმასი“, მისივე „დამქნარი ყვავილები“, საბიტ რახმანის კომედია „ბედნიერები“, ისლამ საფარლის დრამა „დედის გული“ და მეჯნუბეკოვის ისტორიულ-რევოლუციური პიესა „ილიჩის ყურე“. აზერბაიჯანელი ხალხის გმირული წარსული წარმოდგენილი იყო სამედ ვურუნის ისტორიული პიესებით „ვაგფით“ და „ფერხადი და შირინი“, კლასიკა — შექსპირის „ზამთრის ზღაპრით“.

მომხსენებელმა ცალკე განიხილა თითოეული სპექტაკლი და მათში მონაწილე მსახიობთა თამაში. განსაკუთრებით შეიგრძა სპექტაკლ „ფერხადი და შირინი“, როგორც რეჟისორის, მხატვრის, კომპოზიტორის, ცეკვების დამდგმელის ანსამბლურ ნამუშევარზე, რომელშიც ყველაზე თვალნათლივ გამოჩნდა თეატრის სტილი. მაღალი შეფასება მისცა ფერხადის როლის შემსრულებელს ჰასან ალასლავებს, შირინის-ოკიუმა ყურბანოვის და ხოსროვის როლის შემსრულებელს — რსა ავღანას.

გულდასმით იქნა განხილული სპექტაკლი „შეიხ სანანი“, რომელმაც მაყურებელი მაღალი პოეტურობით და შესანიშნავი ფაბულით მოახიზლა. იგი სამსახიობო ოსტატობის და რეჟისორული გადაწყვეტის მხრივ თეატრის საუკეთესო დადგმების რიცხვს მიაკუთვნა. ამ ღირსებებთან ერთად, მომხსენებელმა მიუთითა იმ ნაკლზეც, რაც ამ პიესას აქვს. ეს არის დროისა და სივრცის გრძობის უქონლობა.

ილაპარაკა რა თანამედროვე ცხოვრების ამსახველ სპექტაკლებზე („დედის გული“ და „ბედნიერები“), მომხსენებელი ვადავიდა თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლის-ჯაზარ მეჯნუბეკოვის „ილიჩის ყურის“ განხილვაზე. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, პიესა მინც კარგად არის დაწერილი, კომპაქტური და მიზანდასახულია, ბის გამოც სპექტაკლი გემოვიდა ანაღლეგები. ჩემი რეალური სულიც კეთილად აღურებულნი. ს. მ. კიროვის საუცხოო სახე შექმნა სპექტაკ-

კლში მსახიობმა ის. დაღესტანლიმ. სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობი თამაშობდა დიდი სიმართლით.

დამსახურებულ კებას იმსახურებს სპექტაკლი „ალმასი“, რომელიც კარგ დრამატურგიულ მასალაზეა შექმნილი. სპექტაკლში მოქმედებს ისნება დინამიკურად კარგ რიტმში. აქ განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებენ მსახიობები ლეილა ბედირბეილი, სელიხანოვი, სანანი, სალაევი, ნავიევა და აღყურბანოვი.

საინტერესო სპექტაკლია აგრეთვე შექსპირის „ზამთრის ზღაპარი“. ამ პიესის რომანტიული და პოეტური სული ახლობელი გამოდგა თეატრის შემოქმედებით კოლექტივისათვის, სპექტაკლს გააჩნია სასამოვნო რიტმი, მსახიობებს ოსტატურად აქვთ გამოყვანილი ხასიათები.

მსახიობები შეიჩეულია სწორად. პირველ რიგში აღსანიშნავი არიან: სულთანოვი, ავღაშა ყურბანოვი, ბედირბელი, სადისოვი, ველისხანოვი, შეიხ-ზამანოვი, სალაევა კავსანდი. განსაკუთრებით დიდ განმარჯვებად უნდა ჩაითვალოს ოკიუმა ყურბანოვის მიერ განსახიერებული ჰერმიონა.

ინდოეთის მზათუნახავის წარმატება უდავოდ განაპირობა მისმა საუცხოო დადგმამ და მთავარი როლის შემსრულებელის ლეილა ბედირბელის ჩინებულმა თამაშმა.

სულეიმან რუსტამის პიესა „ყაჩაღ ნაბის“ დადგმა გამოირჩევა სცენებით, სადაც მრავალი საინტერესო ინდივიდუალური სახეა შექმნილი, მათ შორის, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ალა ჰუსეინი ჯავადოვი, მამედალი ალიევი და რზაევი.

თეატრის საგასტროლო რეპერტუარში გამოირჩევა სპექტაკლი „ვალიფი“. როგორც სამედ ვურუნის ამ პიესის, ისე სპექტაკლის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში საინტერესოდ არის ნაჩვენები ხალხი. გარდა ამისა სპექტაკლში არა ერთი აქტიორული განმარჯვებაა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მსახიობ ავღანლის მიერ შექმნილი ვალიფის სახე, ყურბანოვის ვიდადი, ბედირბელის — გიულნარა, დადაშევის — შალიკო, რზაევის — მუსა ქურთი და ისმაილ დაღესტანლის — ალა მახმად ხანი.

მომხსენებელმა დიდხანს ილაპარაკა აზიზბეკოვის სახე თეატრის მსახიობებზე, რომლებიც

აქვს ღიოსებებთან ერთად ფლობენ ერთ მეტად საპირო თვისებას, ჭეშმარიტი გარდასახვის ნიჰს და ფართო აქტიორულ დიპაზონს. ისინი ერთნაირი აღვზნებითა და გატაცებით თამაშობენ, იქნება ის პოეტური— „ფერხადი და შირინი“, თუ მელოდრამა „დედის გული“. ეს კი იმის საწინდარი, რომ მსახიობები შემოქმედებითად არასოდეს არ დაბერდებიან. ამასთან მომხსენებელმა მიუთითა ერთს მიდრეკილებაზე, რომელიც თითქმის ყველა მსახიობის შემოქმედებაში შეინიშნება.—ეს არის ზედმეტი გატაცება დეკლამაციით, წამლერებითი მეტყველებით, თუმცა ეს აზერბაიჯანული ხალხური ხელოვნების გამომავლინებელი თავისებურებაა არის.

თეატრის რეჟისურაზე, რომელიც წარმოდგენილი იყო ადილ ისკანდეროვის, ალი გაილარ-ალეკეროვის, აშრაფ ყულიევის, ალესკერ შირიფოვის და ბადალ ბეილის ნამუშევრების სახით, აღინიშნა მაღალი რეჟისორული უკუტურა, გემოვნება და პროფესიონალიზმი იგრძნობოდა თეატრის ყველა დიდგამში, რომ სპექტაკლები „ვალფი“, „ფერხადი და შირინი“ „ილიჩის ყურე“ და „ალმასი“ საუკეთესო თეატრების სცენას დაამშვენებდნენ თავისი პოეტური გადაწყვეტით.

მ. აზიზბეკოვლას სპექტაკლების მხატვრობის შესახებ მოხსენება გააკეთა მხატვარმა შალვა ჟორჯოლაძემ, რომელმაც თქვა: საგასტროლო სპექტაკლების გაფორმება ექუთვნით აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ისმაილ ახუნდოვს, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს სადიხ შირით ზადეს და თეატრის მთავარ მხატვარს კურსან ფატილოვს.

აზერბაიჯანის დეკორატიული ხელოვნების ფუძემდებლის კურსან ფატილოვის მიერ გაფორმებული სპექტაკლები „დედის გული“, „შეახ სანანი“, „ბედნიერები“, „ილიჩის ყურე“, „ალმასი“, „ზამთრის ზღაპარი“, და „ვალფი“, განაცხადა მომხსენებელმა, — გამოირჩევიან ლამაზი სცენური კომპოზიციით და არქიტექტურული მთლიანობით, ყველა მათ ემჩნევათ ჭეშმარიტად დიდი ოსტატის ფაქიზი გემოვნება. ყველა მათგანი გაფორმებულია ზომიერ ლაკონურ ფორმებში, შინაარსისა და სტაილის დაცვით. ფატულოვის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებში ვერ შეხვდებით გადატვირთულ

სცენას, რომელიც ხელს შეუშლიდა მსახიობს აქ ყველაფერი მსახიობისათვისა, ყველაფერი მას ეხმარება. ამ მხრივ აღსანიშნავია სპექტაკლი „ალმასი“, სადაც მხატვარს ყველაზე უკეთ აქვს განლაგებული სასცენო მოედანი და წრე. გარდა ამისა, იგი მაყურებელს ხიბლავს ნაციონალური კოლორიტის ღრმა გადმოცემით.

ეპოქის ღრმა ცოდნა და გემოვნება იგრძნობა „ზამთრის ზღაპრის“ და „წიხის სანანის“ გაფორმებაში, თუმცა „წიხის სანანის“ ქართველი პერსონაჟების და ქართველი თეატრის სახლის არქიტექტურას აკლია ქართული კოლორიტი.

ასევე კარგად არის ნაპოვნი ფატულოვის მიერ დეკორატიული ფორმა სპექტაკლებისათვის „ბედნიერები“ და „დედის გული“, თუმცა, აღნიშნავს მომხსენებელი, სასურველი იქნებოდა ორივე სპექტაკლი გადაწყვეტილიყო თანამედროვე არქიტექტურის სტილით. „ილიჩის ყურის“ გაფორმება მაყურებელს ხიბლავს ლაკონიურობითა და დამაჯერებლობით. მომხსენებელმა აქვე აღნიშნა, რომ თეატრში მოწოდების სიმალეზეა ბუტაკორობის საკითხი, რაც სამწუხაროდ, არ შეიძლება ითქვას პარიკებზე.

ცხოველი ინტერესით იქნა განხილული პირველი აზერბაიჯანელი მხატვარ-დეკორატორი ქალის, აზერბაიჯანის სსრ ხელოვნ. დამს. მოღვაწის ბადურა ავღანლის მიერ გაფორმებული სპექტაკლები „ინდოეთის მზე-თუნახავი“, და „ფერხადი და შირინი“. მხატვრის შემოქმედების თავისებურება თვალსაჩინოდ გამოვლინდა „ინდოეთის მზე-თუნახავში“. სადაც მან შესძლო დიდი გემოვნებით და ცოდნით გადმოეცა ინდოეთის კოლორიტი და არქიტექტურის სტილი. შეარჩია საუცხოო ფერები როგორც დეკორაციისათვის, ისე მსახიობთა მორთულობისათვის. „ფერხადი და შირინის“ გაფორმებაში იგრძნობოდა შემოქმედებითი ექსპრესია.

საინტერესოა ნამუშევრებად იქნა მიჩნეული ისმაილ ახუნდოვის და სადიხ შირით-ზადეს მიერ გაფორმებული სპექტაკლები: „დამქანარი ყვავილები“ და „ყაჩაჩ ნაბი“.

თავის გამოვლანაში თეატრმცოდნე ნინო. შვანგირაძემ ყურადღება გაამახვილა უმთავრესად თეატრის რეპერტუარზე, მან

აღნიშნა, რომ თეატრი დიდი პასუხისმგებლობით მოკიდებია რეპერტუარის შერჩევის საკითხს, რომ თეატრის სცენაზე ნახვით როგორც თანამედროვე დრამატურგიის, ისე მსოფლიო და აზერბაიჯანული კლასიკის ნიმუშებს, მაგრამ ძირითადად თეატრი ემყარება საკუთარ ნაციონალურ დრამატურგიას, როგორც შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების მთავარ საფუძველს, ეს კი მეტად დასაფასებელია.

რეჟისორმა სიკო ვაჩნაძემ თავის გამოცხადებაში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აზიზბეკოვის სახ. თეატრი არა ჰგავს საბჭოთა კავშირის არც ერთ თეატრს, რომ მას აქვს თავისი ინდივიდუალური შემოქმედებითი სახე, საკუთარი ხელწერა, რომ მას ნაციონალური სახის ჩამოყალიბებაში დიდად უწყობს ხელს ისეთ ნიჭიერ დრამატურგთა თანამართობა, როგორებიც იყვნენ და არიან ჯაფარ ჯაბბარლი, სამედ ვურღუნი, სულეიმან რუს-

ტამი, ისლამ საჟარლი, ჰუსეინ ჯავიდი ჯაბბარ მეჯნუბეკოვი და სხვები.

თეატრის სპექტაკლების და მსახიობთა შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს რეჟისორმა პავლე ფრანგიშვილმა და დრამატურგმა ამირან აბშილაევმა. მათ მაღალი შეფასება მისცეს სპექტაკლებს და მსახიობთა თამაშს.

აზიზბეკოვის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, სსრკ სახალხო არტისტმა ადილ ისკანდაროვმა მაღლობა გამოუცხადა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებრიობას გულთბილი მიღებისათვის და იმ შინაარსიანი მოხსენებებისათვის, რომელიც მიეძღვნა მათ თეატრის გასტროლებს. მან აღნიშნა, რომ ამ გასტროლებით კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაიწერა აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიაში.

ლ ი ს პ უ ზ ი

ქ. სვანილაშვილის სახ. მოსკოვის ღვაწლადი თეატრის

საბავსროლო სპექტაკლებზე

თბილისში წარმატებით ჩატარდა მოსკოვის სტანისლავსკის სახელობის დრამატული თეატრის გასტროლები, რომელიც დაიწყო 1960 წლის 16 ივნისს და დამთავრდა 10 ივლისს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 5 ივლისს მოაწყო თეატრების საგასტროლო სპექტაკლების განხილვა, რომელსაც დაესწრო ფართო თეატრალური საზოგადოება.

განიხილვა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ მიხეილ მრეველიშვილმა. მან თქვა: „მოსკოვის სტანისლავსკის სახ. დრამატული თეატრის ჩამოსვლამ დიდი ინტერესი აღძრა თბილისის თეატრალურ საზოგადოებაში. ჩვენ ვიცით, რომ ამ თეატრში მუშაობდნენ რუსული საბჭოთა თეატრალური კულტურის კორიფები, და ის, რომ ასეთი დიდი პროფესიონალობით გამოირჩევიან ახალი თაობის წარმომადგენელნი. ილაპარაკა რა თეატრის საუკეთესო დადგმებზე, მიხეილ მრეველიშვილმა გამოთქვა სინანული იმის გამო, რომ სტანისლავსკის სახ. თეატრის მდიდარი და მრავალფეროვანი რეპერტუარში ჯერჯერობით არ არის არცერთი ქართული პიესა.

ვრცელი მოხსენებით სტანისლავსკის სახ. დრამატული თეატრის საგასტროლო სპექტაკლების შესახებ გამოვიდა თეატრმცოდნე თეორეტიკული მრეველიშვილი.

დიდი სიხარული მოაქვს ჩვენ ქალაქში რუსეთის და სხვა მოძვე რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივების ჩამოსვლას, მაგრამ თეატრის ჩამოსვლა მხოლოდ სიხარული არ არის. ეს არის გამოცდა არა მარტო ჩამოსვლელთა, არამედ მასპინძელთა შემოქმედებითი შესაძლებლობისა. სტანისლავსკის სახ. თეატრი რეალისტური სკოლის, მხატვის

სკოლის თეატრია, რომლის ხელმძღვანელები მ. ნ. კედროვი და მ. მ. იანზინი არიან, ანახორციელებს დადგმებს ფართო რეპერტუარით: აქ ვხვდებით რუსული და უცხოელი კლასიკების ნაწარმოებთა, საბჭოთა და საზღვარგარეთის დრამატურგთა თანამედროვე პიესებს, როგორც არის მთავრითა, დ. კოპოლტის „როცა ასეთი სიყვარულია“, ედუარდო დე ფილიპოს „დე პრეტორე ვინჩენცო“ და სხვა, საბჭოთა დრამატურგების აქტუალურ პიესებს „ლია ფანჯარა“, „გამარჯობა კატია“, აგრეთვე საბჭოთა ხალხის ახლო წარსულის ამსახველ დრამატურგიას — „ტურბინთა დღეებს“, „მეშენკას“ და სხვ.

შემდეგ მოხსენებელმა განიხილა სპექტაკლები: „ტურბინთა დღეები“, „მეშენკა“, „ლია ფანჯარა“, „გამარჯობა კატია“, „თოლია“, „ეშენკის მოწაფე“, „დე პრეტორე ვინჩენცო“, „როცა ასეთი სიყვარულია“ და ბოლოს „თავისუფლების პირველი დღე“.

ალსანიშნავია, რომ საბჭოთა დრამატურგების ორმოცი პიესიდან თეატრმა უკანასკნელ ათ წელს განახორციელა 27 პიესა თანამედროვე თემაზე.

განსაკუთრებული მოწონება ჰპოვა სპექტაკლმა „ტურბინთა დღეები“, რომელიც გამოირჩევა რეჟისორული, მხატვრული სრულყოფით, მსახიობების უშუალო ძლიერი თამაშით. კარგად ანახორციელებს თავიანთ როლებს: ლეონოვი, სემიოვი, ბელიუსოვი, გრენეჩიკოვი, გლეზოვი, სალანტი და სხვა.

ასეთივე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს სპექტაკლი „მეშენკა“, რომელშიც რეჟისურამ და მსახიობებმა შესძლეს ემოციურად და ანაღლეგებლად გაეხსნათ ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც არის მომავალი თაობის აღზრდა. მეშენკას სახე ორგინალურად აქვს გადაწყვეტილი მსახიობ ბგანს.

ბგანის მაშენკა ძლიერია, იგრძნობა, რომ იგი არ დაიქარგება, რომ მომავალი მას ეკუთვნის.

შეხო რა „თოლისა“, მომხსენებელმა თქვა, რომ თეატრის მიერ მხატვის ტრადიციების მიხედვით დადგმულ ამ პიესას შეეყავათ ჩხოვემა ატმოსფეროში, ვგრძნობთ მის მხნე, ჯანსაღ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი. ახალი შუქითაა განათებული ნინას და ტრეპლევის სახეები. ნინა—მსახიობი კონსტანტინოვას შესრულებით მომხიბვლელია. მისი სახით თეატრს საინტერესო მსახიობი ჰყავს. ასევე თქმის ტრეპლევე-მსახიობმა გრებენ ჩიკოვმა შექმნა ტრეპლევის მეტად ამაღლებული სახე. გასტროლებმა ცხადდევს, რომ სტანისლავსკის სახელობის თეატრს ჰყავს შესანიშნავი მსახიობები: ბგანი, ლევონოვი, კონსტანტინოვა, კრავჩუნოვსკაია, გურკო, ყიფოტოვა, მიხაილოვი, სალანტი, სემჩოვა,—დიდი პერსპექტივების მქონე ახალგაზრდობა.

მომხსენების დასასრულს ეთერ გუშუშვილმა თქვა:—„თქვენი კოლექტივი ჩვენ ძალიან შეგვიყვარდა. მე მინდა გისურვოთ, რომ არა მარტო შეინარჩუნოთ, არამედ უფრო განავითაროთ, უფრო გააღრმავოთ და სრულყოთ—მხატვის დიდებული ტრადიციები.“

მომხსენების შემდეგ გამოვიდა მხატვარი კარლო კუკულაძე. ილაპარაკა რა სტანისლავსკის სახ. თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე მან აღნიშნა, რომ თეატრში მუშაობენ ისეთი პოპულარული თეატრალური მხატვრები, როგორც არიან რსდსრ დამსახურებული მოღვაწე ბ. ნ. ერდმანი; ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ა. ვინოგრადოვი, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ხ. მენდელი და სხვ., რომელთა სახელები ცნობილია ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

შეგრძელდა რა სპექტაკლებზე, ორატორმა აღნიშნა, რომ მხატვრულად კარგად გაფორმებულ სპექტაკლებში ზოგჯერ ვხვდებით შეუფერებელ დეტალებს ან ზოგიერთი სცენის გადატვირთვას ზედმეტი ნივთებით, ავეჯით და სხვა. არ უნდა დავიფიქროთ, განაგრძო კ. კუკულაძემ—სცენის კორიფეის ნემიროვიჩ-დანჩენკოს სიტყვები იმის შესახებ, რომ

თუ რომელიმე სცენაში მაგიდაზე დგას გრაფინი წყლით, წყალი აუცილებლად უნდა შეისვას ამ გრაფინიდან, თუ კედელზე კიდა დამბაჩა—მისგან აუცილებლად უნდა გაისროლოს, თუმცა არ შეიძლება ამის მექანიკურად მოშლა, მთავარია სცენის გაზარბთი საცმა.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მიხეილ გიფიმერელი და დრამატურგი ოთარ ჩიჯავაძე. პირველმა გულთბილი სიტყვა ასე დაამთავრა: „მე არ შემიძლია არ აღვნიშნო თქვენი კოლექტივის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა, რასაც, სხვათა შორის, მოწმობს ერთ დღეს ორი პრემიერის ჩვენება თქვენი გასტროლების დროს. ეს არაჩვეულებრივია! ასეთი მუშაობა ნიშნავს დღევანდლობის შესაფერი ტემპით მუშაობას!“

— მოსკოვის სტანისლავსკის სახ. დრამატული თეატრი,—თქვა დრამატურგმა ოთ. ჩიჯავაძემ,—საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი საუკეთესო შემოქმედებითი კოლექტივია, როგორც ახ. გიფიმერელის თქმისა არ იყოს, ესტაფეტა დიდი სტანისლავსკისაგან მიიღო, ამ თეატრის შემოქმედება ყველა სხვა თეატრის შემოქმედებაზე უფრო თანადროულია, ყველაზე უფრო აქტუალურია. ისე კარგადაა აწყობილი სპექტაკლი, როგორც „ტურბინთა დღეებია“, იმიტომად თუ რომელიმე სხვა საბჭოთა თეატრს მივთავაზებ.

თბილისის რუსულ მოზარდთა თეატრის რეჟისორმა მ. ოლშანიცკიამ ილაპარაკა რა სტანისლავსკის სახ. თეატრის მიღწევებზე, დასძინა:—„მე შემიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ჩვენ ძველი მეგობრები ვართ და როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ძალიან ძნელია განმარტება გაცნობისა და დამეგობრების შემდეგ.“

თეატრმეცნიერ ნათელა ურუშაძემ ილაპარაკა სტანისლავსკის სახ. თეატრის გასტროლებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მან აღნიშნა. „პირველი, რაც თვალში გვეცემა, ის არის, რომ თეატრის შემოქმედების ცენტრში დგას ადამიანი, მისდამი ინტერესი და გულსხმიერება; თეატრი გვიჩვენებს ადამიანის სულიერ სამყაროს, მისი ცხოვრების არსებით და ძირითად მომენტებს, ყოველივე იმას, რაც უნდა იცოდეს მაყურებელმა“

სტანისლავსკის სახელობის თეატრს—განაგრძო ნ. ურუშაძემ,—მეტად კარგი შემოქ-

შედი ახალგაზრდობა ჰყავს, ამასთან ისინი ბევრნი არიან. ხოლო როდესაც თეატრში ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაა, ეს ანიჭებს მას განსაკუთრებულ სიმშვენიერეს, რადგანაც ახალგაზრდობას შეაქვს თეატრში შემოქმედებითი სიცოცხლე და მჩქეფარება.

საგასტროლო სპექტაკლების განხილვის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სტანისლავსკის სახ. დრამატული თეატრის რეჟისორმა ა. ბ. არონოვმა, რომელმაც სხვათა შორის განაცხადა: „ჩვენი თეატრი ბევრჯერ ყოფილა საგასტროლოდ უკრაინაში, ურალში, კიბიბირში, მაგრამ ასეთი კვალიფიციური კრიტიკა, ასეთი რეცენზიები, ასეთი საფუძვლიანი შეფასება, როგორიც ჩვენს გასტრო-

ლებს თბილისში ხვდათ, იშვიათად თუ შეგვხვედრია.

— ვამთავრებ რა ჩემ გამოსვლას, მე მინდა ერთხელ კიდევ გადავუხადო მადლობა ჩვენი კოლექტივის სახელით; დღევანდელი შეხვედრის ორგანიზატორებს, თქვა სტანისლავსკის სახ. თეატრის დირექტორმა ვ. ი. გველესიანმა, მე, როგორც ქართველს, განსაკუთრებით მიხარია, რომ თბილისმა ასე გულთბილად მიიღო ჩვენი თეატრი. ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, მაგრამ არსად არ შევხვედრივართ ჩვენი მუშაობის ასეთ მომზადებულ, ღრმა, გულისხმიერ შეფასებას. ასეთი სიყვარული ჭეშმარიტი სიყვარულია, თბილისელებისათვის ესოდენ ტრადიციული.



1960 წლის 3 სექტემბერიდან 20 სექტემბრამდე თბილისში მიმდინარეობდა მოსკოვის ბოშათა თეატრი „რომენის“ გასტროლები.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 16 სექტემბერს მოაწყო „რომენის“ საგასტროლო სპექტაკლების განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე მ. ი. ხელიძის მიერ. მისი სიტყვაში, რომელშიც სხვათა შორის განაცხადა: — თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობა იცნობს, აფასებს, უყვარს თეატრი „რომენის“, ჩვენ გვხიბლავს ამ თეატრის თავისებურება, რომანტიულობა, უშუალოება და მრავალფეროვნება. ყოველივე ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თბილისში წარმატებით ჩაიბარა თეატრი „რომენის“ საგასტროლო სპექტაკლებმა.

გრძელი მოხსენება თეატრ „რომენის“ საგასტროლო სპექტაკლების შესახებ ვააქვით თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ: „პირველ რიგში — თქვა მომხსენებელმა — მე მინდა შევჩერდე თეატრ „რომენის“ რეპერტუარზე, ვინაიდან რეპერტუარი ყველა თეატრის არსებობაში უმნიშვნელოვანესი საკითხია. რა ჩამოიტანა თეატრმა საგასტროლოდ? ი. რომ — ლებედოვის სამი პიესა, „კაბაჩოკ მაკრელი“, „პლესუნია“, „დღეს ჩვენ კონცერტი გვაქვს“, ორი პიესა ი. იალენერისა — „გოგონა ტამარიდან“, „ბოშური ხასიათი“, ორი პიესა — ი. ხრუსტალოვისა — „ცხელი სისხლი“, „ოთხი საქმრო“, მ. სტარიცკის „ბოშა ქალი აზა“, ბალანტა ვარგის ინდური ლეგენდა „სონი და მახივლი“ და უნგრელი დრამატურგის ედუარდ ლილიენტის „ბოშათა ოჯახი“. ამ პიესებიდან შექმნილ სპექტაკლებით ჩვენ ვფიქროვთ, თუ როგორ ცხოვრობენ ბოშები უნგრეთში, ინდოეთსა თუ შავი ზღვის სანაპიროზე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აღსანიშნავია ის ფაქტი,

რომ თეატრმა თავის არსებობის 30 წლის მანძილზე უკვე გამოზარდა სამი დრამატურგი: რესპ. დამს. არტ. ი. რომ-ლებედოვი, არტისტი და ბალეტმეისტერი ი. ხრუსტალოვი, არტისტი ნ. ნაროჟნი. არც თუ ისე ბევრია ისეთი თეატრები, რომლებსთვისაც 3 დრამატურგი წლიდან წლამდე წერდნენ პიესებს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ვინც კი ნახა მთელი საგასტროლო რეპერტუარი, მისთვის ნათელი გახდა, რომ თეატრ „რომენის“ რეპერტუარი თემატურად შეზღუდულია. მეტად საინტერესო იქნებოდა ბოშათა თეატრის მსახიობთა შესრულებით გვეჩვენა ისეთი პიესები, რომლებიც მოგვითხრობდნენ სხვა ხალხთა ცხოვრებაზე, ეს არ შეუძლია ხელს, რომ იგი დარჩენილიყო ბოშური თეატრად.

შემდეგ მომხსენებელმა განიხილა სპექტაკლები: „ბოშა ქალი აზა“, „კაბაჩოკი მაკრელი“ (დადგმა ს. ბარკანისა) და „ბოშური ხასიათი“ (დადგმა კ. ლუდვიგოვის), როგორც ყველაზე საინტერესო სპექტაკლები. ეს სპექტაკლები თქვა მომხსენებელმა, — გამოირჩევა, როგორც საინტერესო რეჟისორული გადაწყვეტით, ისე მსახიობთა მაღალი შესრულებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპექტაკლი „ბოშა ქალი აზა“ არის აქტიორული სპექტაკლი, თუმც მასში ბევრია საინტერესო რეჟისორული გადაწყვეტაც. რეჟისორის შთანთქმობა, რომელიც მთლიანად გადადის მსახიობში, კომპოზიტორისა და ბალეტმეისტერში, გადმოგვეცემა უმთავრესად მსახიობის საშუალებით. სწორედ ამავითა ძალა და ღრმა აზრი, ს. ბარკანის პრინციპული რეჟისორული მუშაობისა.

ასევე სპექტაკლი „კაბაჩოკი მაკრელი“ გვხიბლავს და გვიინტერესებს თავისი უჩვეულო ფორმით, რომელიც არის არა თვითმიზანი არამედ საშუალება, რომელიც ამძაფ-

რებს პიესაში ასახულ ვითარებას. რაც შეეხება სპექტაკლ „ბოშათა ხასიათს“ (დადგმა ე. ლუდვიგოვისა) იგი აღსავსეა ცხოვრების აღქმის სიხალისით.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მასობრივი სცენები სპექტაკლებში მაღალ დონეზეა, მასში ყოველთვის კარგი მსახიობები მონაწილეობენ. გასტროლების მცირე დროის მანძილზე მაყურებლის თვალწინ ჩაიარა მსახიობთა მთელმა პლეადამ, შესანიშნავი უხუცესი მსახიობით მ. სკვარცოვათი დაწვეთული და ყველაზე ახალგაზრდებით—ი. ნეკრასოვათი, რ. უდოვიკოვათი და იანკოვსკაიათი დამთავრებული.

დასასრულს მომხსენებელმა თქვა: ბოშათა თეატრ „რომენმა“ შეძლო ჩვენთვის ეჩვენებინა ბოშა ხალხის ცხოვრება, მისი წარსული თუ აწმყო, შეგვაყვარა ისინი და დაგვარწმუნა მის ძალაში, მის სულიერ სიძლიერეში ე. ი. მის მომავალშიც. დაბოლოს მომხსენებელმა უსურვა თეატრის კოლექტივის რეპერტუარის გამდიდრება მხატვრულად სრულყოფილი პიესებით, უსურვა სამსახიობო სკოლა-სტუდიების შექმნა, სადაც თეატრის ნიჭიერი ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცემა საფუძვლიანი პროფესიული განათლება მიიღოს.

მომხსენების შემდეგ პირველად გამოვიდა მხატვარი კარლო კუქულაძე. მან ძირითადად ილაპარაკა რა თეატრ „რომენის“ სპექტაკლების მხატვრულ მხარეზე, თქვა: მეტად საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ თეატრ „რომენის“ მსახიობები იზრდებიან და მიდიან აღმავლობის გზით. თქვენი თეატრის კმდლებში იზადებიან და თქვენს კოლექტივში ყალიბდებიან დრამატურაგები, მსახიობები, ბალეტმეისტერები და სხვ. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენი დასი არის ნიჭიერი, მეგობრული, მთლიანი, შემოქმედებით აღმავლობის გზაზე მდგარი კოლექტივი.

რეჟისორმა მ. ოლშანიცკაიამ, რომელმაც სპექტაკლებს მაღალი შეფასება მისცა, დასძინა: თქვენი თეატრი მაღალ დანიშ-

ნულებას ასრულებს, იგი მოწოდებულია გავაცნოს და განგვაცდევინოს დიდი მომხილველობა მცირერიცხოვანი ხალხებისა. თქვენს ხელოვნებას მე აღვიქვამ, როგორც პატარა ხალხის დიდ ხელოვნებას, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა დიდი სულიერი სიმდიდრეა ამ თეატრის შემქმნელ ხალხში.

შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მიხეილ გიჟიმეჯრელი და თენგიზ კანდიანი-ვილი.

— მე მინდა მეგობრებო გადაგიხადოთ მადლობა იმისათვის რომ თქვენ მოგაქვთ ჩვენთვის დიდი სიხარული, ესთეტიური სიამოვნება, კიდევ იმისათვის, რომ შეგწვეთ ძალა მაყურებელი გულწრფელად აცნოთ და ატიროთ, — განაცხადა თენგიზ კანდიანი-ვილი.

— ძალიან მიყვარს, როგორც ბერს სხვა მაყურებელს, სპეციფიკა თქვენი თეატრისა, — ამბობს მიხ. გიჟიმეჯრელი—ცნობილია, რომ თბილისში აღიზარდნენ ამ ჟანრის ბრწყინვალე ქართველი ოსტატები; თამარ წერეთელი და ქეთო ჯფადარიძე. ამიტომ, ვთქვათ პირდაპირ, თბილისში მაყურებლის წინაშე წარდგომა სასიამოვნოც არის და საპასუხისმგებლოც.

განხილვის დასასრულს, სიტყვით გამოვიდა მოსკოვის ბოშათა თეატრ „რომენის“ მთავარი რეჟისორი ს. ბარკანი. თავის გამოცხადებაში ს. ა. ბარკანმა აღნიშნა: „ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა საქართველოს მაყურებელმა. არც თუ ისე ხშირად შეგვხვდებით ისეთ კვალიფიციურ მაყურებელს, როგორც თქვენს ქალაქშია, თბილისელები ფაქიზად გეძნობენ სერიოზულ და ღრმა ადგილებს სპექტაკლისას. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მხურვალე მადლობა გადაგიხადოთ თბილი შეხვედრისათვის, ჩვენი სპექტაკლების ღრმა და პროფესიული შიშობილებისათვის, კიდევ იმისათვის, რომ საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში შედიან ისეთი ხელოვანნი, რომელთაც შესწევთ ძალა და უნარი განახორციელონ სცენაზე ხელოვნების უბრწყინვალესი ნაწარმოებები.

და კონსუკანსიები

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიხედვით
მოწვევის მეოთხე პლენუმი

1960 წლის 10 და 11 ოქტომბერს შედგა საქ. თეატრალური საზოგადოების მეხუთე მოწვევის მეოთხე პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგი იყო: „კრიტიკა და ჩვენი თეატრალური სინამდვილე“. მოხსენებით გამოვიდა თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგე, თეატრმოცდენ ნინო შვანგირაძე. მან მოხსენების შესავალ ნაწილში აღნიშნა, რომ კრიტიკისა და ჩვენი თეატრალური სინამდვილის საკითხი სადღესოდ კიდევ უფრო აქტუალურია. რა ხასიათისაა ჩვენი კრიტიკა და როგორია თეატრალური სინამდვილე, რა ტენდენციები შეინიშნება მის განვითარებაში, რას იწონებს, ან რას უარყოფს კრიტიკა, როგორია მისი პროფესიული დონე, ეხმარება თუ არა იგი ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას დადებითად გადაჭრას მის წინაშე მდგარი ამოცანები—აი რა გვაღელვებს დღევანდელი პლენუმის მონაწილეებს.

ნ. შვანგირაძემ აღნიშნა ის შრომა, რომელიც უკანასკნელ წლებში იქნა გაწეული კრიტიკოსების მიერ. მან სთქვა, რომ საგრძნობლად გაიზარდა ქართულ საბჭოთა თეატრის საკითხებზე არა ქართველი ავტორების რიცხვიც. ასე მაგალითად: ქართულ საბჭოთა თეატრებზე წერენ კრიტიკი, ა. ფევერალსკი, ი. ზავადსკი, ი. იუზოვსკი, ვ. სეჩინი, ა. გლუბოვი, პ. ნოვიცკი, ვ. ზალესკი, მაგრამ საქმეს რაოდენობა როდი წყვეტს. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენს თეატრალურ კრიტიკულ ლიტერატურაში ხშირად თეატრის ცალკეულ მოღვაწეთა შემოქმედების შეფასების დროს არ იცავენ ისტორიზმის პრინციპს. ამა თუ იმ თეატრალურ მოვლენას არ იხილავენ—კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით და იმის გამოკვლევით, თუ რამდენად ორგანულია ეს

მოვლენა ეპოქის საერთო ტენდენციისათვის, რამდენად სწორად გამოხატავს საზოგადოებრივ განწყობილებას, დგას თუ არა იგი მოწინავე პოზიციაზე და ეხმარება თუ არა თეატრალური ხელოვნების განვითარების ინტერესებს.

ამ ბოლო ხანებში მოსკოვის სხვადასხვა გამოცემლობაში და ჟურნალ „თეატრის“ ფურცლებზე, არც თუ იშვიათად, იბეჭდება შრომები ჩვენს თეატრებზე და თეატრალურ მოღვაწეებზე, სტატიები თეატრის პრობლემურ საკითხებზე. ჟურნალის ფურცლებზე ხშირად ასახელებენ მაგალითებს ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს ხდება არაპროფესიულად, არამოქმედებლად.

ზოგიერთი რეცეზენტი ხელოვნების ღვაწლის განსჯას იწყებს ცალკეული ნაკლის ან შეცდომის კუთხით. საკითხისადმი ამგვარ დამოკიდებულებას თან სდევს სამწუხარო შეცდომები. სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ქართულ, ისე რუსულ თეატრალურ კრიტიკას, შედარებით ნაკლებ ხარვეზები აქვს კოტე მარჯანიშვილის შემეკიდრეობის შესწავლაში. უკვე შეიქმნა ამ ძვირფასი შემეკიდრეობის შესწავლის ერთგვარი ტრადიციაც კი, თუმცა არც თუ საკმარისი. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ რაც გაკეთდა, უკვე მაღლიერების გრძნობას იწვევს. ამგვარად ამოცანა ის არის, რომ კოტე მარჯანიშვილის შემეკიდრეობიდან არ დაჩქვს არც ერთი მხარე ფართო საზოგადოებისათვის უცნობი. უფრო კონკრეტულად გაიკრვეს, თუ რა ფორმით, რა საშუალებით იქნას იგი გამოყენებული თეატრალურ პრაქტიკაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა ამ საკითხს.

სამწუხაროდ, ასე ნათლად არ არის შეს-

წავლილი მეორე დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის მოღვაწეობის საკითხი, ღრმად ნაციონალური ეროვნული თეატრის შექმნისათვის თავდადებული მებრძოლის დიდად საინტერესო შემოქმედის ცხოვრება.

ქართულ კრიტიკაში ცოტაა ნათქვამი და დაწერილი ს. ახმეტელის შემოქმედებაზე. ქართველ კრიტიკოსებსა და ხელოვნებათმცოდნეთ ყველა საშუალება გაგვანია იმისათვის, რომ უფრო მეტი მონდომებით ვიზრუნოთ ამ თავდადებული მოღვაწის შემოქმედების ობიექტური შესწავლისათვის. ღირსეული ადგილი მიუფიქროთ მას საბჭოთა ქართული თეატრის ისტორიაში.

გაუგებარია, რომ 1956 წელს გამოცემულ ნიკო ურუშაძის ბროშურაში „შილერი ქართულ სცენაზე“, გატარებულია აზრი, რომ თითქოს ახმეტელს აღებული არ ჰქონდა სწორი შემოქმედებითი ხაზი და რომ მისი სპექტაკლი „ინტიმანოსი“ ფორმალისტური იყო, თუმცა ბროშურის ხსენებულ ავტორს სპექტაკლის ანალიზისათვის მოაქვს ზოგიერთი ამონაწერი ჟურნალ-გაზეთებიდან, სადაც ნათქვამია, რომ „პიესის დადგმა დიდი შემოქმედებითი გაქანების შედეგია“, რომ „სპექტაკლი კომპოზიციურად ბრწყინვალედაა მოფიქრებული, როგორც დიდი სოციალური მისწრაფებათა კონფლიქტი“, რომ „თეატრმა თავისი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად იპოვა შილერის სწორი გადაწყვეტა“ და სხვა მრავალი ასეთი.

ზოგი ავტორი იქამდეც კი მიდის, რომ ცდილობს კოტე მარჯანიშვილის სახელს ჩამოაცალოს ახმეტელს. ასეთ ცდას მხოლოდ ზიანი მოაქვს ჩვენი კულტურისათვის. ქართველ საბჭოთა თეატრს ენაყება, რომ მას სხვადასხვა ხელწერის ორი დიდი რეჟისორი ჰყავს, რომლებიც ერთნაირი გატაცებით ასწავლიდნენ თაობებს, თუ როგორ უნდა უყვარდეს საბჭოთა ადამიანს სამშობლო. ხალხი, როგორც თანგაგონებით უნდა შეიწიროს მის საქმეს.

ამხ. ზვანგირაძე გრცლად იხილავს ა. ფეგრაოსკის წიგნის („რუსთაველის თეატრი“) ზოგიერთ მცდარ დებულებას, აკრიტიკებს იმ ადგილებს, სადაც ულამარაკია ს. ახმეტელის თითქოს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმზე.

ნ. ზვანგირაძეს მოჰყავს რამდენიმე მავალითი სერიოზული კრიტიკული წერილები.

ამასთანავე მიუთითებს, რომ სრულიად არ კმარა თითო-ოროლად ნიკიერად დაწერილი სტატია. ჩვენს თეატრალურ კრიტიკას ბევრად უფრო მეტის ვაკეთება შეუძლია, მეტია მისი თეორიული მომზადების ძალა და ნიჭი.

მომხსენებელი აკრიტიკებს რა ვლადიმერ მაჭავარიანის წერილს, ამოხს:

ჟურნალ „ცისკარის“ მერვე ნომერში დაიბეჭდა რა ვ. მაჭავარიანის წერილი „თანამედროვეობა და თეატრი“, რომელიც წარმოადგენს პასუხს სამი თეატრმცოდნის — ნოდარ გურაბანიძის, ვასო კიკნაძის და თენგიზ ჯანელიძის სტატიაზე „ტრადიცია და თანამედროვეობა“, სადაც ვაკრიტიკებული იყო ვ. მაჭავარიანის წერილი „მივხედოთ ჩვენს თეატრს“.

ვ. მაჭავარიანის სტატიაში „თანამედროვეობა და თეატრი“ ჩვენ მხოლოდ ორიოდ მომენტზე შეეჩერდებით. ერთი, წერილს არა აქვს გარკვეული პოზიცია, რომელიც ჩვენ საფუძველს მოგვცემდა გაგვეგო, თუ რას უტერს მხარს მისი ავტორი. მეორე — პასუხი დაწერილია მხოლოდ და მხოლოდ უარყოფის პათოსით. ვ. მაჭავარიანს არ მოსწონს სპექტაკლი „როცა ასეთი სიყვარულია“. ეს რა თქმა უნდა, შესაძლებელია და დასაშვებია, მაგრამ არაფერს არ ამბობს, თუ რა მოსწონს, რას იცავს, რა მხატვრული ტენდენცია მიაჩნია თეატრში მთავარ ტენდენციად. მას რომ აქ განეხილა „ბახტრიონი“ და ეთქვა, რომ ეს სპექტაკლი წარმართა რუსთაველის თეატრის საუკეთესო ტრადიციების გზით, რომ მან განავითარა ეროვნული ფორმა, წინ წამოსწია გმირის სულიერი ცხოვრების განცდის სიმძაფრე, მაშინ მეთხველისათვის გასაგები გახდებოდა ვ. მაჭავარიანის პოზიცია. მაგრამ, მაშინ მას ისიც უნდა ელიარებინა, რომ კომპარატივად ჰეროიკულ - რომანტიკული სპექტაკლებია „ყაჩაღები“ და „ოიდიპოსიც“, მით უფრო, რომ ქართულ თეატრმცოდნეობაში სპექტაკლი „როცა ასეთი სიყვარულია“ არავის გამოუცხადებია რუსთაველის თეატრის მაგისტრალურ ხაზად, როგორც ამას ვლადიმერ მაჭავარიანი აწერს.

ნ. ზვანგირაძე თავისი მოხსენების დასასრულს ამბობს, რომ ქართული საბჭოთა თეატრში ყოველთვის ტრიალებდა ნოვატო-

რული სული, იგი ყოველთვის იდგა საბჭოთა კავშირის საღვთო თეატრების მოწინავე რიგებში. ეს ავტორიტეტი უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი.

პირველი გამოვიდა ცნობილი კრიტიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ ჟღენტი. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა ვიბრძოლოთ თაბახთა დაპირისპირების ცდების წინააღმდეგ, ვამხილოთ ისინი, ვინც ერთმანეთს უპირისპირებს ქ. მარჯანიშვილსა და ს. ახმეტელს.

ბ. ჟღენტი ვრცლად ეხება ქართული თეატრის თანამედროვე მდგომარეობას. ამასთან აღნიშნავს, რომ ქართულ თეატრს ჰყავს შესანიშნავი მსახიობები, რომლებიც დაამყენებენ ყოველი ეროვნული თეატრის სცენას, ასევე რეჟისორები (დimitრი ალექსიძე, ვასო ყუშიტაშვილი, არჩილ ჩხარტიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ.), ე. ი. ჩვენ გავგაჩნია ყველა შესაძლებლობა გვექონდეს კარგი თეატრი. ყველაფერი გვაქვს ამისათვის, მაგრამ მაინც არის ნაკლოვანებები მუშაობაში. ამით აიხსნება ის, რომ ჩვენ არ გვაქვს კარგი სპექტაკლები. მართალია, იდგმება „ოიდიპოს მეფე“, რომელითაც იამაყებდა ყოველი თეატრი და რომელიც ჩვენთვის გამონაკლისი არ არის. იდგმება აგრეთვე „ოტელო“, „რიჩარდ მესამე“, „ხატრინი“ და რამდენი კიდევ სხვა, ე. ი. ჩვენს თეატრს დიდი და სერიოზული წარმატებები დაზღწეწინვალე ტრადიციები აქვს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვიყოთ კმაყოფილები. ქართული თეატრი სათანადოდ ვერ ასრულებს თავის დიდ როლს, ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე. მთავარი არის თანამედროვე ჟღერა, რომელიც აკლია თეატრს. ჩვენი თეატრები (რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობის) კარგად ვერ ასახავენ დღევანდელობას. თეატრი, რომელიც სუსტად ასახავს თანამედროვეობას, ვერ იქნება სრულყოფილი თეატრი.

აი, იყო მოსკოვში გასტროლებზე რუსთაველის სახელობის თეატრი. მოგვხსენებთ, დიდი მოწონებაც დაიმსახურა. მოგვხსენებთ ისიც, რომ თბილისის გაზეთებში აქ უფრო მეტს ხმაურობდნენ, აქ უფრო მეტ ალტაცებას გამოთქვამდნენ, ვიდრე ქ. მოსკოვში.

ყოველივე ამის შემდეგ ბ. ჟღენტი ლაპა-

რაკობს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისათვის მზადების საკითხზე. იგი აკრიტიკებს თეატრებს, რომ მათ ვერ შესძლეს შექმნათ მაღალი მხატვრული და სრულფასოვანი სპექტაკლები თანამედროვეობის აქტუალურ თემაზე.

განსაკუთრებით მძაფრი, პოლემიკური ხასიათი ჰქონდა ბ. ჟღენტის სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ფეგრალსკისა და გოიანის შრომების კრიტიკას ეხებოდა. ბ. ჟღენტი შეეკამათა მომხსენებელს, რომ არ იყო საჭირო ზემოხსენებულ ავტორებზე ამდენი ლაპარაკი.

სიტყვას ამზობს ანა ღვინიაშვილი. იგი ლაპარაკობს მოხარდ. მაყურებელთა თეატრებზე, იმაზე, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის საკითხებს.

სახელმწიფო ობერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა დimitრი მჭედლოძემ თავისი სიტყვის ძირითადი ნაწილი მუსიკალური კრიტიკის საკითხებს უძღვნა. ჩვენ,— განაცხადა მან,—წინ ვართ ინგლისზე და ამერიკაზე ნაციონალური საოპერო რეპერტუარით და უნდა შეგვედლოს მისი დაფასება. ჩვენ გყავდა შესანიშნავი მომღერლები ფ. ქორაძე, ე. სარაჯიშვილი, მაგრამ ისინი იყვნენ ერთეული შემსრულებლები. რევოლუციის შემდგომ მოხდა სრული გარდატეხა და დღეს ჩვენ გავაჩნია ისეთი საოპერო-სახალტო დასი, რომელიც არაფრით არ ჩამოვწვარდება სხვა ქვეყნების დასებს.

დ. მჭედლოძემ ილაპარაკა იმის შესახებაც, თუ რას უჩვენებს თეატრი მაყურებელს ორმოცი წლისთავისათვის. ფალიაშვილის „ბენსალომი“ და „დაისი“, დ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი“, შ. მშველიძის ახალი ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“, ა. ანდრიაშვილის „ზეავი“, ი. გოკიელის „წითელქუდა“, ა. ბუქიას „დაუბატონებელი სტუმრები“, გ. კილაძის „სინათლე“, დ. თორაძის „გორდა“, ა. მაჭავერიანის „ოტელო“. დ. თორაძის „მშვიდობისათვის“, მზადდება ს. ცინცაძის ბალეტი „ღმომონი“—სულ 20 ნაწარმოები. ბევრ ნაციონალურ თეატრს ვერ დავასახელებთ, რომ ასეთი დიდი რეპერტუარი ჰქონდეს.

სიტყვას იღებს ცაგერის სახალხო თეატრის რეჟისორი თ. ლოლაძე. იგი ლაპარაკობს

სახალხო თეატრების მუშაობაზე და ამასთან დაკავშირებით კრიტიკის ობიექტურობის საკითხზე. ამხ. თ. ლოლაძე მოითხოვს, რომ მეტი გულსყურით ეკიდებოდნენ სახალხო თეატრებს, მეტ დახმარებას უწევდნენ მათ პრესა.

პროფ. აკაკი ფთავას აზრით ცალმხრივად არის შეფასებული ს. ახმეტელის მემორიალ-რეობა. ახმეტელი,—ამბობს იგი,—უშეველად იყო მოწაფე მარჯანიშვილისა, მაგრამ ყველა ადამიანის ცხოვრებაში არის გარკვეული პერიოდი, როცა იგი დეაქტაქების შემდეგ, ინტელექტუალურად და ესთეტიკურად დამოუკიდებელი ხდება. ასეთ დამოუკიდებელ შემოქმედების ვაზს დაადგა ახმეტელიც, და მისი რეჟისორული მოღვაწეობა ზოგიერთების მიერ ცალმხრივად არის შეფასებული. ჩვენ ქართული თეატრის ისტორია ვერ გამოვეცი, მაგრამ ახლო მომავალში გამოიცემა. თეატრის ყოველ მოღვაწეს უნდა მიეჩინოს თავისი კუთვნილი ადგილი და ეს აუცილებლად უნდა გავაკეთოთ. გარდა ამისა ჩვენ დღეს სხვა დიდი თეატრებიც გვაქვს, რომელთაც ვააჩნიათ გარკვეული მიღწევები. არც ეს უნდა იქნას დაივიწყებული.

დრამატურგმა ვასო პატარაიამ აღნიშნა, რომ კ. ჩარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის გათიშვის ცული შედეგი არ მოყოლია. ფაქტი ის არის, რომ ერთი თეატრის ნაკვლად შეიქმნა ორი თეატრი და არავინ ამბობს, რომ ეს ცუდია. ჩვენ მივიღეთ ორი კარგი თეატრი.

გ. პატარაია თავისი სიტყვის მეორე ნაწილში ვრცლად ჩერდება დრამატურგისა და თეატრის ურთიერთობის საკითხებზე.

მეორე სხდომაზე პირველად გამოდის აკაკი დევიძე. იგი ეხება სახალხო თეატრების მუშაობას.

დრამატურგი სიმონ მთვარაძე ლაპარაკობს რა მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეპერტუარის შესახებ, პლენუმს სთხოვს მეტი ყურადღება მიაქციოს ამ მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხს.

ამხ. ელენე კვიციანიას აზრით, მომხსენებელმა სწორად ვაამაზვილა ყურადღება გოიანისა და ფერაისკის შრომებზე.

ბ. ზახტაძე უსაყვედურებს მომხსენებელს იმის გამო, რომ მან ნაკვლად განიხილა გაზ. „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული რეცენზიები.

პოტი ა. ბეგაშვილი ლაპარაკობს ქართული ენის სიწმინდის საკითხებზე და მრავალი ფაქტი მოჰყავს ენის დამახინჯების საილუსტრაციოდ.

აკად. ანჯია ბოჭორიშვილი ეხება თეატრის სპეციფიკის საკითხებს, ლაპარაკობს თეატრალური კრიტიკის თავისებურებაზე. კრიტიკა არის მეცნიერება თეატრალური ხელოვნების შესახებ და მას უნდა მოეპყრათ ძალიან სერიოზულად. ნამდვილი მეცნიერი არ გამოიტანს დასკვნას, სანამ თავის დებულებებს არ დაასაბუთებს. აზრი იმის შესახებ, მსახიობმა კარგად ითამაშა, თუ ცუდად, არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტებად, სანამ არ დავასაბუთებთ. შთაბეჭდილებები ყველას შეუძლია ჰქონდეს, მაგრამ ეს არ კმარა იმისათვის, რომ დავებულოთ კრიტიკული წერილი.

ჩვენი სიტყვა, ჩვენი აზრი მსახიობის შემოქმედების შესახებ უნდა იყოს მეცნიერული. უნდა მოვიმარჯვოთ ისეთი მეცნიერული მეთოდით, რომელიც ასე თუ ისე, გამოირიცხავს სუბიექტურ მიდგომას მსახიობის შემოქმედებისადმი.

აკაკი ვასაძემ ილაპარაკა თეატრალური კრიტიკის შესახებ. ბევრ საზოგადო მოღვაწეს აშინებს ეს საკითხი,—თქვა მან.—ამ ბოლო დროს გაუბრბან კიდევაც მას. უნდა ითქვას, რომ ეს მათი შიში არ არის უსაფუძვლო, თეატრალური კრიტიკა ძალიან რთული საქმეა და აქ შეიძლება შეცდომა აბატოთ თავს. მაგრამ როცა წერენ იმაზე რაც არ იციან, თავისი ნაწერი საზოგადოებაში გამოაქვთ და ბეჭდავენ, ამას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

შემდეგ ამხ. ვასაძე ლაპარაკობს რა თეატრების თანამედროვე მიდგომაზე, საჭიროდ მიაჩნია განვითარდეს და ახალ საფუძველზე ავიდეს კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის ტრადიციები.

თეატრმოცდენ ვასო კიკნაძე ამბობს: მე მინდა დავიწყო ჩენი პლენუმის ერთ-ერთი არსებითი საკითხით—ს. ახმეტელის საკითხით. დროა ამ დიდ ხელოვანს მიეჭინოთ თავისი ადგილი თეატრალური ხელოვნების ისტორიაში. საკითხი დავს ასე: ქართველი ხალხის კულტურის ისტორიას დასაბუთება გამოჩენილი რეჟისორი, რომ მას პატივად უნდა ვცეთ. ვ. კიკნაძეს მიაჩნია, რომ პლენუმზე უთუოდ

უნდა თქმულიყო ს. ახმეტელის შესახებ, რადგან იგი მარტო ისტორია არაა. არავის არ უნდა მიეცეს უფლება წეროს - კ. მარჯანიშვილი (როგორც ეს ა. ფერაღლის წიგნშია) — ბურჟუაზიული ესთეტიზმის წარმომადგენელია, ხოლო ახმეტელი — ბურჟუაზიული ნაციონალისტი. უნდა დავიკვთ დიდ ქართველ მოღვაწეთა სახეები, თვალისჩინივით უნდა გავფიქრებოდეთ იმ ადამიანთა ღვაწლს, რომლებმაც მყარი საფუძველი ჩაუყარეს ქართულ საბჭოთა თეატრს. უნდა ეგებოდეთ იმათაც, ვინც თავიანთ ნაშრომებში ამ ორ შემოქმედს ერთმანეთს უპირისპირებს.

მე გული მტკივა, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი ამ საკითხზე გაჩუმებულია. ს. ახმეტელის სახელს მარტო ჩვენ კი არ უნდა ვიცავდეთ, ახალგაზრდები, რომლებსაც ბევრი რამ არ გვინახავს, არამედ ის ცნობილი კრიტიკოსები, რომლებსაც ჩვენზე მეტი ავტორიტეტი და გამოცდილება აქვთ. რუსთაველის თეატრის გასტროლებთან დაკავშირებით გამოსულ ბროშურაში ზოგიერთმა ამხანაგმა ფრაზა ამოგლიჯა და აზრი დაამახინჯა. იქ ბევრი კარგიც ვთქვი. ჩვენმა კრიტიკოსმა კი ერთ გაუშვართავ ფრაზაზე ავგო იაფფასიანი სენსაციაცა. მე არა ერთი გულთბილი წერილი მიმიძღვნია ამ დიდი ხელოვანისადმი. არავის სტრიქონი არ დაუწერია, როცა ა. ხორავას 65 წელი შეუსრულდა (მაშინ იგი თეატრში აღარ იყო), მხოლოდ მე ერთი გამოგვებნაურე ამ თარიღს პრესაში სპეციალური სტატიით. მაშინ სად იყვნენ ისინი, ვინც ახლა ვითომ ჩემგან იცავენ ა. ხორავას? დავუშვათ, რომ მე არასწორად დავწერე ბროშურაში ერთი ფრაზა, მაგრამ თქვენ თუ გულწრფელად ხართ ამის გამო აღშფოთებულნი, რატომ ხმა არ ამოიღეთ, როცა იმავე ა. ხორავასა და ა. ვასაძის შემოქმედება იმ წლებში, როცა თეატრს ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა, ასე დამცირა კრიტიკოსმა გოიანმა? აქაი ხორავამ და აქაი ვასაძემ განა მაშინ არ შექმნეს ბრწყინვალე სცენიური სახეები?

ჩვენმა თეატრალურმა ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს ა. ხორავასა და ა. ვასაძისაგან. ის არც არის კარგი ქართველი საბჭოთა ადამიანი, ვინც პატივს არ სცემს მათ შემოქმედებას, ვინც არ ამაყობს მათი ღვაწლით, მაგრამ რა ვუყვით, ნაკლი დიდსაც აქვს და

პატარასაც. ჩვენ გულწრფელნი უნდა ვიყოთ მკითხველის, ისტორიისა, და თვით მათ წინაშე. ანა რა კრიტიკოსები ვიქნებით, თუ კარგი და ცული ერთნაირად ვაქვთ. ეს ვის რად სჭირდება.

სიტყვას ამბობს პავლე კანდელაკი. — კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის საკითხი მისი აზრით, არ არის მარტო ისტორიის საკითხი. მათი მემკვიდრეობის შესწავლა და სწორად შეფასება დაგვეხმარება უკეთ წარგმართით თეატრალური ცხოვრება. როგორც რუსული თეატრი უფროთხილდება სტანისლავსკის სახელს, — ამბობს ორატორი, — ჩვენმა ქართულმა საბჭოთა თეატრმაც ასევე პატივი უნდა სცეს კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ხსოვნას. შემდეგ ორატორი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს რა თეატრალური კრიტიკის საკითხებს, აღნიშნავს, რომ მეტი დახმარება უნდა გაეწიოს ახალგაზრდა კადრებს, საჭიროა მათი გამხსნევა და არა დატუქსევა.

ვლადიმერ მაჟავარიანი ლაპარაკობს ქართული თეატრის სადღესო ამოცანებზე. მისი აზრით, პლენუმზე ბევრი საკითხი წამოიჭრა, რომლის გარკვევა და გადაჭრა არ მოხერხდება რეგლამენტით განსაზღვრული დროის ფარგლებში.

კოტე მახარაძე პლენუმს უსაყვედურებს იმას, რომ მარტო რუსთაველის თეატრის ირგვლივად ძირითადად ლაპარაკი და არა საერთოდ ქართული თეატრისა და კრიტიკის შესახებო. ორატორი აკრიტიკებს ვ. მაჟავარიანის ორ სტატიას, რომელიც რუსთაველის თეატრის შესახებ დაიბეჭდა. განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ადგილს, სადაც თაობათა ურთიერთობაზეა ლაპარაკი. ორატორი ამბობს, რომ რუსთაველის თეატრის ახალგაზრდობა გულწრფელად აფასებს ა. ხორავასა და ა. ვასაძეს და ნურავინ ცდილობს ისე დახატოს სურათი, თითქოს ისინი ახალგაზრდებს მიზეზით წააციდნენ თეატრიდან.

პლენუმის მესამე სხდომაზე პირველად გამოვიდა დიმიტრი ალექსიძე. ლაპარაკობს რა თეატრისა და დრამატურგიის ურთიერთობაზე, ორატორი აღნიშნავს, რომ მათი თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია სიახლეთა ძიება და ნოვატორობა თეატრში. დ. ალექსიძის აზრით, სწორედ დღეს უფრო ვიდრე, ოდესმე, საჭიროა თეატრალური ხელოვნების ავტორი-

ტეტის ამბლდება, რადგან აქა-იქ გაჩნდა რეციდივი თეატრალური ხელოვნების როლის დამცირებისა, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეუფასებლობისა. ავტორი ვრცლად შეეხვა ეროვნული თეატრების, კერძოდ რუსეთის სახ. თეატრის განვითარების საკითხს და ილაპარაკა თეატრის სტილის, მხატვრული ფორმების მრავალფეროვნების აუცილებელი საჭიროების შესახებ და დაასკვნა, რომ რეჟისორთა თავისებურმა მანერამ არ უნდა გამოიწვიოს არევა, ელემქტიზმი თეატრალურ შემოქმედებაში.

ეთერ გუგუშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ნ. შვანგარაძის პროფესიულ მოხსენებაში ზოგი რამ მიიხსნა სადაო იყო. შემდეგ ორატორმა ვრცლად ილაპარაკა ნაციონალური ფორმის საკითხზე, გააკრიტიკა ისინი, ვინც ცდილობს ეროვნული ფორმის იგნორირებას. მსმენელთა ინტერესი გამოიწვია სიტყვის იმ ნაწილმა, სადა იგი ამ ეროვნულ ფორმაზე ლაპარაკობდა.

ამხ. გუგუშვილის აზრით, საჭიროა აკადემიასთან შეიქმნას თეატრმცოდნეობის განყოფილება, რომელიც მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებს ქართულ თეატრმცოდნეობას და ხელს შეუწყობს მის სწრაფ განვითარებას.

ვერიკო ანჯაფარიძემ უსაყვედურა მომხსენებელსა და საერთოდ პლენუმის მონაწილეებს ის, რომ მნიშვნელოვანი ადგილი არ დაეთმო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი მუშაობის განხილვას. ორატორმა ილაპარაკა თეატრალურ კრიტიკაზე, რომელიც, მისი აზრით, ღრმად ვერ სწვდება მოვლენებს, არ იძლევა განზოგადობას, სპექტაკლის საფუძვლიან ანალიზს. დასასრულს ავტორი შეჩერდა კ. მარჯანიშვილის მოღვაწეობის და მასთან დაკავშირებულ თეატრალურ ცხოვრებაზე.

სიტყვით გამოვიდა ვრ. ქარელიშვილი, რომელმაც განაცხადა: კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ძალიან დიდი შემოქმედნი არიან. ქართული თეატრალური ცხოვრების ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუღლის ამ ორ ტიტანს, რომლებმაც შექმნეს ახალი ქართული თეატრი, მაგრამ რომედნადაც დღის წესრიგში არ მდგარა მათი ურთიერთობის განხილვა, მომხსენებელი არ უნდა შეხებოდა ამ საკითხს.

ჩვენი თეატრალური ცხოვრება, — ამბობს დიმიტრი ჯანელიძე, — შეტად მნიშვნელოვან, მეტად მტკივნეულ საკითხს აყენებს. ამიტომ ბუნებრივია, რომ პლენუმში ასე მღელვარე დისკუსიის ვითარებაში მიმდინარეობს. თეატრალურ კრიტიკოსებს იმედი გვექონდა, რომ თეატრის მუშაკები გამოვიდოდნენ აქ და გვეტყოდნენ, თუ რა არის ღირსეული იმში, რასაც ჩვენ ვეკეთებთ და რა არის დასაწყენი, რა მოთხოვნილება აქვთ მათ ჩვენს მიმართ. იმედი გვექონდა, რომ ასეთი გამოხსვლებით ისინი გარკვეულ მიმართულებას მისცემდნენ თეატრალურ კრიტიკოსების შემდგომ მუშაობას. შემდეგ ორატორი შეეხა ახალგაზრდა კადრებთან მუშაობის საკითხს. ვინ გვყავს ჩვენ, — ამბობს იგი, — იმაზე უფრო ძვირფასი, ვიდრე ახალგაზრდობა. ეს არის ჩვენი მომავალი იმედო. იგი განაგრძობს დიდ საქმეს, რომელიც წინა თაობამ დაიწყო. ჩვენ მათ ბევრი რამ უნდა მოვუთმინოთ და ვაპატიოთ. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენც ვყოფილვართ ახალგაზრდები და ჩვენც მიგვიცია ჩვენი თავისთვის ნება გვეთქვა ბევრი რამ ისეთი, რასაც ახლა არ ვიტყვით.

დ. ჯანელიძე აყენებს საკითხს გამოიცეს შრომები კ. მარჯანიშვილისა, ს. ახმეტელისა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ.

თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა ილია თავაძემ აღნიშნა, რომ პლენუმში მეტად დროული იყო, რადგან კარგახანია მომზადდა საჭიროება განხილულიყო კრიტიკისა და ჩვენი თეატრალური სინამდვილის აქტუალური საკითხები.

ორატორმა ვრცლად ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ობიექტურ კრიტიკას და რა გავლენას ახდენს იგი თეატრის ცხოვრებაზე.

თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ თავის სიტყვაში დიდი ადგილი დაუთმო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული სტატიების განხილვას. იგი არ დაეთანხმა მომხსენებელს ჟურნალის კრიტიკაში. ორატორის აზრით ჟურნალში საკმაოდ რაოდენობით იბეჭდება თეორიული ხასიათის წერილები.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა ნინო შვანგარაძე, რომელმაც განაცხადა: კამათში გამოსულმა ზოგიერთმა ორატორმა დაამახინჯა ჩემი მოხსენების ერთი ნაწილის დედა აზრი,

იმ ნაწილისა, სადაც მე გავილაშქრე კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის დაპირისპირების წინაღმდეგ. აქ კი ისე დახატეს სურათი, თითქოს მე ერთმანეთს დავუპირისპირე ორი დიდი ხელოვანი.

უცნაურად გაისმა პლენუმზე ის სიტყვებიც, თითქოს მე არ მეტყვას, რომ კ. მარჯანიშვილი ქართული თეატრის რეფორმატორია. მოხსენებაში გარკვევით ვთქვი და ახლაც უნდა გავიმეორო: კ. მარჯანიშვილი რომ ქართული თეატრის რეფორმატორია, ამაში ეჭვი არვის ეპარება. ისიც უდავოა, რომ კ. მარჯანიშვილთან ერთად ს. ახმეტელმა მყარი საფუძველი ჩაუყარა ქართულ საბჭოთა პროფესიულ თეატრს.

კამათი დასრულდა.

თეატრალური საზოგადოების თავჯდომარემ მიხეილ მრეველიშვილმა შეაჯამა პლენუმის მუშაობა.

პლენუმმა ცხადყო, თუ რაოდენ დროული

და აქტუალური იყო განხილული საკითხები, — თქვა მ. მრეველიშვილმა. — თეატრალური საზოგადოება დიდი მღელვარებით აღდევნებს თვალყურს ჩვენს კრიტიკას, ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას და საჭიროა, რომ ჩვენც ყოველთვის ხალხის გაზრდილ მოთხოვნათა სიმაღლეზე ვიდგეთ.

რა თქმა უნდა, ყველა საკითხი, რომელიც პლენუმის მუშაობისას წამოიჭრა, ერთბაშად ვერ გადაწყდება, მაგრამ იქნება წინაპირობა მისი თანდათან დამუშავებისა, გარკვევისა და შესაბამისად განხორციელებისა. მთავარია, რომ ჩვენი კრიტიკა მხარში ამოუდგეს თეატრს, მაღალი იდეური პოზიციებიდან გააშუქოს ქართული თეატრის ზრდისა და ამ ზრდით გამოწვეული სიძნელეების ყოველი მხარე, დაეხმაროს ქართულ საბჭოთა დრმატურგებსა და ხელოვანთ შექმნან ჩვენი დროის შესაფერი ტილოები, სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა გმირული სახეები.

ქონუკიანი

სახალხო თეატრების მუშაობის საკითხებზე

1960 წლის 30 მაისს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართა კონფერენცია სახალხო თეატრების მუშაობის საკითხებზე.

კონფერენცია გახსნა კულტურის მინისტრის მოადგილემ ანხ. გრიგოლ ფოფხაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ერთი წლის მანძილზე ჩამოყალიბებულმა სახალხო თეატრებმა უკვე მნიშვნელოვანი წარმატებები მიიპოვეს შემოქმედებით საქმიანობაში, მაგრამ მათ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასარკვევი, დასადგენი, ჩამოსაყალიბებელი. ამ კონფერენციის მიზანია სწორედ ის არის, რომ გაარკვიოს სახალხო თეატრების მუშაობის პრინციპული საკითხები, დასახოს ღონისძიებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მოხსენება — „საქართველოს სახალხო თეატრები თანამედროვე ეტაპზე“ — გააკეთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა აბესალომ კალანდარიძემ. მან ილაპარაკა იმ დიდ ღონისძიებათა შესახებ, რომელთაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ანხორციელებს ხალხური თვითშემოქმედების შემდგომი აღმავლობისათვის. მოხსენებელი შეეხო ჩვენს რესპუბლიკაში მოქმედ თვითშემოქმედის დრამატული კოლექტივის საქმიანობას. აღნიშნა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში 1369 დრამატული კოლექტივია, რომლებშიც ჩამოყალიბდა 17 ათასამდე სცენის მოყვარე. დრამატულმა კოლექტივებმა 1959 წელს 60 ათასამდე წარმოდგენა გამართეს.

თვითშემოქმედი თეატრალური კოლექტივების მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების შედეგად მომზადდა ნიადაგი, რომ ზოგიერთი

დრამატული კოლექტივი გარდაქმნილიყო სახალხო თეატრად. შემუშავებული იყო დებულება, რომლის თანახმადაც 1959 წელს 22 კულტურის სახლთან არსებულ დრამატულ კოლექტივს მიენიჭა სახალხო თეატრის სახელწოდება, ხოლო ქუთაისის საქალაქო კულტურის სახლთან შეიქმნა სახალხო თეატრი. სახალხო თეატრებს გაეწია ერთდროული მატერიალური დახმარება, — თითოეულ მათგანს მიეცა 10 000 მანეთი, ხოლო ქუთაისის სახალხო თეატრს 50 000 მანეთი. გატარდა საჭირო ღონისძიებანი კვალიფიციური ხელმძღვანელი კადრებით სახალხო თეატრების უზრუნველსაყოფად.

მოხსენებელმა ანალიზი გაუკეთა სახალხო თეატრების მუშაობის ერთი წლის შედეგებს და აღნიშნა, რომ უკვე გარკვეულია სახალხო თეატრების მხატვრული სახე, მათი შემოქმედებით-ორგანიზაციული წყობა. სახალხო თეატრების მუშაობამ მიიღო სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი.

მოხსენებელი ვრცლად შეეხო ამბროლაურის, ბორჯომის, ორჯონიძის რაიონის სახალხო თეატრების შემოქმედებით და ორგანიზაციულ მუშაობას. ამ მოწინავე თეატრებში უკვე მოიპოვეს ავტორიტეტი. წარმატებით ასრულებენ სარეპერტუარო და ფინანსურ გეგმებს. მოწინავეთა რიგებში არიან აგრეთვე გურჯაანის, ცაგერის, თბილისის რკინიგზელთა სახლის და სხვა სახალხო თეატრები. მაგრამ არიან ჩამორჩენილებიც. მაგალითად, რუსთავის, სიღნაღის, საგარეჯოს სახალხო თეატრები, რომლებიც თითო-ორ-ოლა სპექტაკლის დადგმით დაკმაყოფილდნენ. ამ თეატრების სუსტი მუშაობის მიზეზია ის რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები მცირე დახმარებას უწევდნენ მათ.

მოხსენებელი შეჩერდა სახალხო თეატრის კადრების უზრუნველყოფის საკითხზე. აღნი-



შნა, რომ მიუხედავად მრავალი ღონისძიებებისა, ჯერ კიდევ ვერ შეგძლიათ ყველა სახალხო თეატრის უზრუნველყოფა რეჟისორითა და მხატვრით. 4 თეატრს არ ჰყავს რეჟისორი, ხოლო 6 თეატრს — მხატვარი. ამ საქმის მოსაწესრიგებლად აუცილებელია ადგილობრივი კადრების გამოყენება. სახალხო თეატრებში მომუშავე 400-ზე მეტი სცენისმოყვარედან 200-მდე გამოცდილი სცენისმოყვარეა. ბევრ მათგანს მუშაობის 10-20-და 30 წლის სტაჟი აქვს. მაგრამ მათ შორის არიან ისეთნიც, რომლებმაც პირველად აიღვეს ფეხი სცენაზე. მათთან მუშაობა უნდა გაძლიერდეს, უფრო ხშირად უნდა ეწყობოდეს საინსტრუქტაჟო თათბირ-სემინარი. გამოცდილებათა გაზიარება, სასურველია სახალხო თეატრებში მოეწყოს სტუდიური მუშაობა. მეტად უნდა დანტერესდეს სახალხო თეატრთა საქმიანობით საქართველოს თეატრალური საზოგადოება.

მომხსენებელი შეეხო რა სახალხო თეატრების რეპერტუარს, აღნიშნა, რომ რეპერტუარში შეტანილ 103 პიესიდან 64 თანამედროვეობის თემაზეა დაწერილი. ზოგი თეატრის რეპერტუარში სჭარბობს ისტორიული თემატიკა. ზოგი თეატრი თვითნებურად სცვლის დამტკიცებულ რეპერტუარს და სხვ. იგრძნობა რეპერტუარის ერთფეროვნებაც, რაც, ცხადია, სასურველი არ არის. საჭიროა საქმეში ჩავაბათ გამოცდილი დრამატურგები, შევქმნათ სახალხო თეატრებისათვის სპეციალური რეპერტუარი — უმეტესად კამერული პიესების ხარჯზე.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა სახალხო თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების აუცილებლობას. ბევრმა თეატრმა ბალანსიდან-ბალანსზე გადატანით უსასყიდლოდ მიიღო დეკორაციები და სცენისათვის სხვა აუცილებელი მასალა. ზოგმა თეატრმა კარგად გამოიყენა ეს დახმარება და ვანამტკიცა ფინანსური მდგომარეობა. მაგრამ არის ისეთი თეატრები, რომლებიც ამ დახმარებას სათანადოდ ვერ იყენებენ. ამ თეატრების ხელმძღვანელებმა უნდა გამოინახონ გზები ჩამორჩენის სასწრაფო ლიკვიდაციისათვის. უნდა მივაღწიოთ წარმოდგენების რაოდენობის ზრდას. უნდა აღვკვეთოთ სახალხო თეატრის შემოსავლის სხვა ღონისძიებებზე ხარჯვა.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სახალხო თეატრებში გრიმიორების, მხატვრების და სხვა კადრების მომზადებაზე, მუსიკისა და ეფექტების გამოყენებაზე და სხვა.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნა რეჟისორ შოთა მესხის მოხსენება „საქართველოს სახალხო თეატრების შემოქმედებითი სახე“. ამხ. მესხმა ნათლად ჩამოაყალიბა სახალხო თეატრის რაობა. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ გვემინი მუშაობით სახალხო თეატრები ახლო უნდა იდგნენ პროფესიულ თეატრებთან; სახალხო თეატრი უნდა წარმოადგენდეს ხელოვნების განვითარების საზოგადოებრივი ფორმის მკაფიო გამოსახულებას. სახალხო თეატრები უნდა იბრძოდნენ მაღალი იდეური და მხატვრულ დონისათვის, მყარი რეპერტუარისათვის, აქტიორული კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის. — ყოველივე ეს კი მოსახერხებელია მტკიცე მატერიალური ბაზისა და ორგანიზაციული სიმწყობრის უზრუნველყოფის შემდეგ.

მომხსენებელმა გაარჩია ცხაკაიას სახალხო თეატრის სპექტაკლი „პატარა კახი“. ჩოხატაურის, ლანჩხუთის და სხვა თეატრების შემოქმედებითი საქმიანობის ზოგიერთი მხარე და აღნიშნა, რომ ყველაგან იგრძნობა დიდი ერთუხიანობი და სწრაფვა მაღალი ოსტატობისაკენ, რაც გამარჯვების პირველ საწინდარს წარმოადგენს. შეეხო რა სახალხო თეატრების რეპერტუარს, მომხსენებელმა თქვა, იგრძნობა ჯანსიდი ტენდენცია — დიდი ადგილი დაეთმოს თანამედროვე და ქართულ კლასიკურ პიესებს. მომხსენებელს სასურველად მიაჩნია რეპერტუარში შეტანილი იქნას დასავლეთის კლასიკოსების შექსპირის, შილერის ლოპე-დე-ვეგას და სხვ. დრამატურგია. ამ ავტორთა პიესების დადგმა მას მიაჩნია დიდ სკოლად.

მომხსენებელმა შეამჩნია დიდი კამბოტი; მონაწილეობა მიიღეს სახალხო თეატრების ხელმძღვანელებმა, თეატრმცოდნეებმა, თეატრალური საზოგადოების და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუშაკებმა.

ლენინის რაიონის სახალხო თეატრის ხელმძღვანელი ამხ. პავლე ფრანგიშვილი აღნიშნავს, რომ ლენინის რაიონის სახალხო

თეატრს მეტი წარმატებები ექნებოდა, რომ მას ჰქონოდა მატერიალური ბაზა. კლუბში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, მუშაობს აგრეთვე ოსური და რუსული დასებიც, მუშაობენ სხვადასხვაგვარი წრეები,—ეს კი ხელს გვიშლის მუშაობაში.

თეატრმკოდნე ნინო შვანგირაძემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სახალხო თეატრებთან გაძლიერდეს სტუდიური მუშაობა,—ეს იქნება კადრებთან მუშაობის ყველაზე კარგი ფორმა. აგრეთვე უნდა მოეწყოს სახალხო თეატრების დადგმების ტელეგადაცემები.

ამხ. თამარ ლოლაძემ (ცაგერის სახალხო თეატრის რეჟისორი) ილაპარაკა ცაგერის სახალხო თეატრის მუშაობის შესახებ. მან დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ რეჟისორისა და მხატვრის ხელფასი გაიცეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

გ. ციციშვილი (გურჯაანის სახ. თეატრის რეჟისორი) აღნიშნავს, რომ საჭიროა დრამატურგებმა წერონ სპეციალურად სახა-

ლხო თეატრებისათვის, ხოლო კულტურის სამინისტრომ დახმარება გაუწიოს სახალხო თეატრებს მანქანებითა და სცენებისათვის აუცილებელი მასალებით.

დრამატურგმა ალექსანდრე აფხაიძემ, ვასო პატარაიამ, რეჟისორებმა ჭანტურიამ (ცხაკაია), თ. კობახიძემ (ქუთაისის სახ. ოპერა), გ. ჯაფარიძემ (ამბროლაური), ჭინჭარაძემ (ლაგოდეხი), რ. ქორქიამ და აკ. დევიძემ ილაპარაკეს სახალხო თეატრების მუშაობის მტკივნეულ საკითხებზე.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც შეჯამდება მომხსენებელთა და მოკამათეთა მიერ გამოთქმული პრინციპული მოსაზრებანი. რეზოლუციაში გათვალისწინებულია ღონისძიებები სახალხო თეატრების მუშაობის შემდგომ აღმავლობისათვის.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა კულტურის მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. ფოფხაძემ.





1960 წ. 15 ნოემბერს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატულმა სექციამ და თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო რუსთაველის სახელობის თეატრის 1959-60 წ. სეზონის სპექტაკლის „ბახტრიონის“ განხილვა.

სსდომის თავმჯდომარემ მიხ. მრეველიშვილმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა, რომ „ბახტრიონი“, ჩვენი თეატრალური ცხოვრების უდაო, დიდი და ღირსშესანიშნავი მოვლენაა, რაც დამტკიცდა აგრეთვე თეატრის გასტროლების დროს მოსკოვსა და კიევიში; მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ბიესაში, ისე სპექტაკლში არის ზოგი რომ პრინციპულად გადასაწყვეტი, რაც მოითხოვს პირუთენელ მსჯელობას. განხილვის მიზანს შეადგენს „ბახტრიონის“ უმეველი ღირსებების აღნიშვნა და მასში არსებულ ნაკლოვანებებზე მითითება.

განხილვაზე სპექტაკლ „ბახტრიონის“ შესახებ მოხსენებთ გამოვიდა დიმიტრი ბენაშვილი, მხატვრობის შესახებ — კარლო კუკულაძე, ხოლო „ბახტრიონის“ მუსიკის შესახებ — ანტონ წულუკიძე.

დ. ბენაშვილმა თავის მოხსენებაში განავითარა ის აზრი, რომ ეროვნულ დრამატურგიის გარეშე შეუძლებელია, ეროვნული თეატრის განვითარება, და რომ ეს დებულება „ბახტრიონმა“ ერთგულ კიდევ დაამტკიცა. შემდეგ მან ილაპარაკა პიესის ირგვლივ და აღნიშნა, რომ დ. ვაჩიჩილაძის პიესა, რომელიც ვაჟას ნაწარმოების მოტივებზეა შექმნილი, მთლიანად ვაჟას სულიერ განწყობილებებიდან გამომდინარეობს, და მას კარგად ერწყმის თვითონ დ. ვაჩიჩილაძის მიერ დაწერილი ადგილები, რომლებსაც უთუოდ დიდი მხატვრული ღირსებები გააჩნია. მომხსენებელს მიაჩნია, რომ პიესის ავტორმა ბუნებრივად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, ვაჟას მონოლითურ, მაგრამ დრამატულ ხასიათებს მოუძებნა შესატყვისი ფორმები; სწორედ ამან განაპირობა ის, რომ რეჟისორ-

მა, მხატვარმა, კომპოზიტორმა და მსახიობებმა, შეეძინეს მაღალმხატვრული, ღრმად პატრიოტული სპექტაკლი.

დ. ბენაშვილმა განიხილა მსახიობთა თამაში და მაღალი შეფასება მისცა ლელას, ანდარგზის და ქადაგის როლების შემსრულებლებს — ზ. კვერენჩხილაძეს, ქ. მახარაძეს და სცენის გამოჩენილ ოსტატს ს. ზაქარიაძეს.

„ბახტრიონის“ მხატვრობის შესახებ მომხსენებელმა კ. კუკულაძემ აღნიშნა რა თეატრის მორიგი გამარჯვება თქვა, რომ სპექტაკლი „ბახტრიონი“ მხატვარ ფ. ლაპიაშვილის მიერ გაფორმებულია ფერწერითი გადაწყვეტით, ე. ი. მისი ფერი არის აზრის გარკვეული შემცვლელი, ფერთა შეხამება, კოლორიტი ფსიქოლოგიურად შესატყვისება დრამატურგის ჩანაფიქრს, კოლორიტი შეესაბამება და აძლიერებს იმ განწყობილებას, რომელთაც მსურებელში აღძრავს დრამატული მოქმედების განვითარებას. კუკულაძემ გაფორმების ნაკლად მიიჩნია ზედმეტი პირობითობა და მხატვრული მასშტაბების დარღვევა.

ან. წულუკიძემ მოხსენებაში „ბახტრიონის“ მუსიკის შესახებ აღნიშნა, რომ სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი არჩილ ჩიმაკაძის მუსიკამ. „ბახტრიონისათვის“ დაწერილი მუსიკა გამოირჩევა ემოციურობით, სიდიადითა და მელოდიურობით, ე. ი. იმით, რაც თვით ვაჟას ნაწარმოებებისათვის არის დამახასიათებელი. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „ბახტრიონის“ მუსიკა აღიქმება, როგორც მუსიკალური პოემა, როგორც დასრულებული ნაწარმოები. მასში განსაკუთრებით ემოციურიად „მთების ძახილი“.

განხილვაში მონაწილე ორატორები: (აკ. ფალავა, აკ. გაწერელია, ნ. გურაბანიძე, აკ. ვასაძე, ვ. ზამბახიძე, გ. კალანდაძე, ე. კვიციანი, ვ. მაჭავარიანი, გ. ხუბაშვილი) სპექტაკლ

„ბახტრიონს“ მიიჩნევენ რუსთაველის თეატრის საუკეთესო ტრადიციების ათვისებისა და შემდგომი განვითარების სანიმუშო მაგალითად, რომ პატრიოტული ჟღერადობის სპექტაკლ „ბახტრიონში“ მაღალ დონეზეა რეჟისურა, მხატვრობა, მუსიკა და მსახიობთა შესრულება, რომ დ. გაჩეჩილაძის პიესა, რომელიც საუუძღვლად დაედო ამ შესანიშნავ სპექტაკლს, წარმოადგენს კომპოზიციურად და სიუჟეტურად შეკრულ, მშვენიერ ქართულით დაწერილ ნაწარმოებს.

იზიარებენ რა სპექტაკლის და პიესის ღირსებების ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებებს, ორატორები: ბ. ჟღენტი, ბ. ბახტაძე და ა. აღამია პრინციპულად ეწინააღმდეგებიან ინსცენირების ავტორის ზოგ რამეში.

ბ. ჟღენტს საერთოდ, მიუღებლად მიაჩნია, რომ საქართველოში არსებობდეს ს. შანშიაშვილის — „ხევის ბერი გოჩა“, ა. კაჭკაჭიშვილის „ბაში აჩუკი“, ს. მთვარაძის — „სურამის ციხე“, დ. გაჩეჩილაძის — „ბახტრიონი“ და სხვა. ბ. ჟღენტი აღნიშნავს, რომ კლასიკოსის ნაწარმოები პიესად ისე უნდა გადაკეთ-

დეს, რომ შეუბღალავი დარჩეს ავტორის იდეურ-მხეტვრული დონე. აფიშაზე ჯეროვან აღგილზე დაიწეროს ავტორის გვარი, გარდა ამისა ბ. ჟღენტი დ. გაჩეჩილაძეს ედავება უკანა რიგში ლუხუმის სახის დაყენებაში და ქადავის სახის წამოწევაში. მილიან სპექტაკლს, მხატვრობას, მუსიკას და მსახიობებს — ს. ზაქარაძეს, ზ. კვერციხილაძეს და კ. მახარაძეს ბ. ჟღენტი აძლევს მაღალ შეფასებას. ინსცენირების საკითხში ამავ ეზრისაა ბ. ბახტაძეც.

ა. აღამია, როგორც ავტორის ისე თეატრს არ ეთანხმება კვირიას — ანდარეზად გადაქცევაში, ამასთან მას მიუღებლად მიაჩნია ლელას და ანდარეზის მდიდრული ჩაცმულობა. ასევე წინააღმდეგია იგი ინსცენირებაში ლელას და ანდარეზის სასიყვარულო ამბის შემოტანისა, რადგან მისი აზრით, ეს ლელასა და კვირიას ხასიათების ვაჟასეულ გაგებას ეწინააღმდეგება.

განხილვამ, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

სალამოები

შენათქმული აუხაიძის საიუბილეო სალამო

1960 წლის 21 ნოემბერს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყვეს საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო არტისტის ემ. აფხაიძის დაბადებიდან 60 წლისა და სასცენო მოღვაწეობის 40 წლის თავის აღსანიშნავი საიუბილეო სალამო.

სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ანხ. გრიგოლ ფოფხაძემ.

შემდეგ ვრცელი მოხსენება ემ. აფხაიძის შემოქმედების შესახებ წაიკითხა მწერალმა და ფილოლოგმა შოთა ძიძიგურმა. — მსახიობის პროფესია, — თქვა მომხსენებელმა, — უაღრესად თავისებურია. მართებულად არის ნათქვამი, — ვინც სცენის მტყერს ერთხელ მაინც ისუნთქავს, შემდეგ იგი მთელს ცხოვრებას თეატრს დაუკავშირებსო. რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს მსახიობის თეატრალური ცხოვრება, მას მაინც მსახიობობა ურჩევნია სხვა პროფესიას. ასეთი ცხოვრება გაატარა დღევანდელმა ჩვენმა იუბილარმა, ჩვენმა საყვარელმა აფხაიძემ.

ემ. აფხაიძემ თავისი შესანიშნავი შემოქმედება მარტო თეატრში როდი გვიჩვენა. მან ათეული წლების მანძილზე დიდი სამსახური

გაუწია ქართულ ესტრადას, რისთვისაც მას სამართლიანად უწოდებენ ქართული ესტრადის პიონერს.

გარდა ამისა, — დასძენს მომხსენებელი, — ემ. აფხაიძეს მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა აქვს გაწეული ქართულ კინემატოგრაფიაში, სადაც განხორციელებული აქვს არა ერთი და ორი შესანიშნავი სახე. შემდეგ შოთა ძიძიგურმა მოკლედ ჩამოთვალა ემ. აფხაიძის მიერ განსახიერებულ როლები. ილაპარაკა საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, დაახასიათა იგი, როგორც უმწიკვლო და შესანიშნავი ადამიანი.

მომხსენების შემდეგ, იუბილარს მიესალმნენ, აღრესები და საჩუქრები გადასცეს ი. გვიჩიძემ (საქ. სსრ კულტურის სამინისტრო), მიხ. მრგელიშვილმა (საქ. მწერალთა კავშირი). პ. თრანგიშვილმა (საქ. თეატრალური საზოგადოება), ვ. გოძიაშვილმა (მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი), ს. დოლიძემ (კინოსტუდია „ქართული ფილმი“), აკ. ვასაძემ (ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრი), არ. ჩიშაკაძემ (კომპოზიტორთა კავშირი), ა. მაგრაქველიძემ (საქ. ფილარმონია), დ. სლავენიმა (გრიბოედოვის სახ. თეატრი) და სხვ.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი ემ. აფხაიძის მონაწილეობით.

საბჭოთა სოხეათის 40 წლისათვის.

1960 წლის 25 ნოემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, მოაწყო სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ანხ. მიხ. მრევლიშვილმა, რომელმაც თქვა:—ჩვენი ორი მომეხალხის, ქართველი და სომეხი ხალხების მეგობრობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. განსაკუთრებით განმტკიცდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების მეგობრობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, როდესაც დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული როგორც სამეურნეო, ისე კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ანხ. მრევლიშვილმა მოიყვანა ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრობის მრავალი მაგალითი: ინტერაქტურული ნაწარმოებების ურთიერთ თარგმნები, მსახიობთა ურთიერთ გაცვლები თეატრალურ ხელოვნებაში, სიერთო დადგმები კინოში, სახვითი ხელოვნების გამოფენები ორივე რესპუბლიკის ქალაქებში, მეცნიერების ერთობლივი კონფერენციები და სხვ.

შემდეგ მოხსენება თემაზე: „ქართველ და სომეხ ხალხთა ისტორიული მეგობრობა“—წაიკითხა პროფესორმა სარგის კაკაბაძემ.

—მიღიარია ამოზისა და მეგობრობის კეთილშობილი ფაქტებით სომეხი და ქართველი ხალხის ისტორია,—თქვა მომხსენებელმა, —საუკუნეთა მანძილზე სომხეთი და საქართველო ერთობლივად იბრძოდნენ სხვადასხვა მხრიდან მოსულ ურიცხვ დამპყრობელთა წინააღმდეგ. ცარიზმის პერიოდშიც ქართველები და სომეხები ერთნაირად განიცდიდნენ რასოციალური და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმეს, ერთნაირი ძალით იბრძოდნენ თავიანთი კლასური და ეროვნული ინტერესებისათვის. თავიანთი კულტურის დაცვად. ხანგრძლივ ბრძოლებში გამოიჭედა ამ ორი უძველესი ხალხის მეგობრობა, ამიტომაც არის ეს მე-

გობრობა ასეთი მტკიცე და ურყევი დღესაც.

შემდეგ, მოხსენება თემაზე „სომხური დრამატურგია ქართულ სცენაზე“,—წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა. ილაპარაკა რა ქართველი და სომეხი ხალხების თეატრალურ ურთიერთობაზე, ანხ. ბუხნიკაშვილმა დასძინა,—ძველთაგანვე არსებობდა კულტურული ურთიერთობა ამ ორ ხალხს შორის, კერძოდ, თეატრალურ დარგშიც. სომხური და ქართული თეატრები უხვად სარგებლობდნენ ურთიერთის დრამატურგიული შემოქმედებით. ქართული თეატრი ცხოველი ინტერესით ეპყრობოდა სომხურ დრამატურგობას და პირიქითაც. ამის ბრწყინვალე მაგალითია გაბრიელ სუნდუკიანის პიესების სისტემატიური განსახიერება ქართულ სცენაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „პეპო“-ს პოპულარობა ქართულ თეატრში. იგი პირველად 1874 წელს დაიდგა, რევოლუციამდეც ქართულ თეატრში, ასევე წარმატებით იდგმებოდა სუნდუკიანის სხვა პიესებიც,—„ქიდეგ ერთი მსხვერპლი“, „ხათაბალი“, „დაქცეული ოჯახი“, „მეუღლენი“, „შირვანხადეს“—„პატარასნებისათვის“ და სხვ. „პეპო“ და „პატარასნებისათვის“ დღესაც წარმატებით იდგმება თბილისისა და პერიფერიულ თეატრებში. იშვიათი პოპულარობით სარგებლობდა ქართულ თეატრებში აგრეთვე ქოჩარაიანის „ბრმა მუსიკოსი“, „რაისა ტარასოვა“, ო. თუმანიანი „გიგორი“ და სხვა.

მოხსენება თემაზე: „ქართული დრამატურგია სომხურ სცენაზე“ წაიკითხა მწერალმა სურენ ავჩიანიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სომხურ ენაზე თარგმნილია, წარმატებით მიდიოდა და დღესაც იდგმება ავქსენტის ცაგარლის „ხანუმა“, „ციმბირელი“, „რაჯინახავს ვეღარ ნახავ“ და სხვ.

შემდეგ ანხ. ავჩიანიანმა ჩამოთვალა ქართული ეტაორების ის პიესები, რომლებიც თარგმნილია სომხურ ენაზე: აწყურელი ს

„დასჯილი“, ვ. გუნიას „და-ძმა“, ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ლალატი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“, პ. ირეთელის „დამარცხებულნი“ და „ქრისტიანი“, ტრ. რამიშვილის „ექიმი აშირ შაქიანი“, ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე“ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, იანვალაძის № 21 ჯვრით, ი. გრიშაშვილის „ნაგავი“, კ. ქალაძის „ხატყე“, ს. მთვარაძის „შირაქის გულში“ და „სურამის ციხე“, გ. ბუნჩიკაშვილის — „დამცველები და მოკავშირენი“, ალ. მაშაშვილის „განგაში“,

ს. შანშიაშვილის „არსენა“ და „ხევისბერი გოჩა“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“, ი. ჭავჭავაძის „აკაკი ყაჩაღი“, გრ. ბერძენიშვილის „აჭარის მთებში“, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, აკ. წერეთლის „კინტო“, მის. მრეკლეშვილის „ზღვაი“, ვ. კანდელაკის „მთა წყნეთის ეკლი“ და მრავალი სხვა. ყველა ეს პიესა — ეცადებს მომხსენებელი — იდგმებოდა როგორც თბილისის სომხურ თეატრში, ისე ერევანში და სომხეთის სხვა ქალაქებში.

აკაკი ნაჩათლის საღამო

1960 წლის 2 დეკემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში, მოაწყო დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლის-თავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტი თავმჯდომარემ ანხ. შიხ. მრეკლეშვილი.

— ნახევარი საუკუნის მანძილზე, — განაცხადა ანხ. მრეკლეშვილმა, — აკაკი წერეთელი დაუღალავად იღწვოდა თავისი ქვეყნის ბედნიერი მომავლისათვის, არ იყო საზოგადოებრივ კულტურული ცხოვრების არც ერთი უბანი, რომლისათვისაც აკაკის თავისი ძლიერი კვალი არ დაემჩნია. ფასდაუდებელია მისი როლი არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ ქართული თეატრის განვითარების საქმეშიც. აკაკი იყო დიდი პოეტი, საზოგადო მოღვაწე და აგრეთვე დიდი დრამატურგიც, რომელმაც არა ერთი და ორი ისეთი პიესა შესძინა ქართულ თეატრს, რომლებიც დღესაც წარმატებით იდგმება ჩვენს თეატრებში.

შემდეგ ვრცელი მოხსენება თემაზე: „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“ წაიკითხა თეატრის ისტორიკოსმა სერგო გერსამიამ. ილაპარაკა რა აკაკი წერეთლის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ღვაწლზე, მომხსენებელმა აღნიშნა — აკაკი წერეთლის სასცენო ხელოვნების ამაღლებზე მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო. აკაკი ხშირად გამოდიოდა სცენაზე და სხვადასხვა ხასიათის როლებს ასრულებდა. სის-

ტმატურად ღებულობდა მონაწილეობას დივერტისმენტებში, კითხულობდა საკუთარ ლექსებს და სცენებს, რეჟისორობდა, ანტრეპრენიორობდა, აწყობდა საქველმოქმედო წარმოდგენებს, წერდა სხვადასხვა ჟანრის დრამატულ ნაწარმოებებს, რეცენზიებს, კრიტიკულ-თეორიული ხასიათის წერილებს სასცენო ხელოვნების საკითხებზე და სხვ. დიდი პოეტი ქართულ თეატრს ყოველმხრივ ხელს უწყობდა. თვლიდა რა მას დიდ კულტურულ დაწესებულებად, იგი ამბობდა, — სასცენო ხელოვნებამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი ხალხის განებრივ აღმავლობას და მის ზნეობრივ გავსაფრთხილებას. აკაკი წერეთელს დაწერილი აქვს 23-ზე მეტი დრამატული ნაწარმოები, რომელთაგან „მატარა კახი“, „კინტო“, დღემდე არ მოცილებია ქართულ სცენას. გარდა ამისა თარგმნილი აქვს მრავალი პიესა, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრში.

საღამოზე მოგონებებით გამოვიდნენ სახალხო პოეტი, აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, თეატრის მოღვაწე დავით ჩხეიძე, პედაგოგი ვლ. ჯაფარიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელ. სიბილა და ი. ფალიანი.

ილაპარაკა რა აკაკისთან შეხვედრაზე, მის თეატრალურ მოღვაწეობაზე, მოგონებებით გამოსულმა ი. გრიშაშვილმა დასძინა, — სხვათა შორის აკაკი ბოლო დროს ერთობ გულგატეხილი იყო ქართულ თეატრზე. ის აღარ არის, რაც იყო, — ტყუილად ხოლმე და იქვე დაუმატებდა: არ შეიძლება მისმა ფესვებმა კვლავ მიღავრდ არ აიჩაროს, და აი, მართლაც, დღევანდელი ჩვენი თეატრი რომ ენახა აკაკის, აღბთა ხმაილა შესძახებდა — „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ“...

მეგობრების სჯამობა

(სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების მეშავთა შეხვედრა)

აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ავტომანქანებით მომავალ სტუმრებს თბილისელი მასპინძლები, რომ მდინარე ხრამთან ხედებიან, ეს უფე ტრადიციად იქვა აქ, ამ სახლვართან. მეგობრული სითბო ისადგურებს ხოლმე სტუმარ-მასპინძელთა გულში.

ასე იყო კვირას, 1960 წლის 11 დეკემბრის ნათელ და მზიან დღეს. ხრამის ძველი წითელი ხიდი „მოსკვირის“ მარკის ერთმა მსუბუქმა მანქანამ და ორმა ავტობუსმა ვადმოარა. სომხეთის სცენის მშვენიებამ, უხუცესმა მსახიობმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა გრაჩია ნერსესიანმ, არარატის და სომხეთის ველების მხურვალეობა და მხედურებს ღმილად შეავება. ვაისმა სიხარულით სავე შეძახილები: „სალამი გრაჩია“, „გაუმარჯოს გურგენს“, „კეთილი იყოს შენი დაბრუნება, დავით“ (სომხეთის სახალხო არტისტი დავით მალიანი თელაველი. იგი ასლაც სიამაყითა და სახარულით იგონებს იმ დროს, როდესაც იგი, პირტიტველი ჭაბუკი, ლადო მესხიშვილის გვერდით, სცენაზე ფებს იდგამდა).

ასეთი მეგობრული იყო საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და ერევნის გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის თეატრის ორმოცი მსახიობის შეხვედრა. ისინი სამი დღით სტუმრად ეწვევიენ ჩვენს დედაქალაქს. სტუმრებს მიესალმა საქართველოს თეატრალური საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი დავით ჩხეიძე. სამადლობელი სიტყვა თქვა სომხეთის სახალხო არტისტმა გურგენ ჯანიბეკიანმა.

იმავე საღამოს სტუმრები დაესწრნენ რუსთაველის თეატრის სპექტაკლს „როცა ასეთი სიყვარულია“. სტუმრებმა სპექტაკლს მაღალი შეფასება მისცეს. ალტაცებს გამთქვამდნენ მსახიობთა, რეისორთა და მხატვრის შესანიშნავი ნახელოვით.

მეორე დღეს, დღით, სტუმრებმა თბილისის ღირსშესანიშნაობა დაათვალიერეს, საღამოს

კი მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამართულ კონცერტში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდენტის თავმჯდომარემ მწერალმა მიხეილ მრეველიშვილმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებს გრაჩია ნერსესიანს, ვერიკო ანჯათარძეს, ვასო გოძიაშვილს, სერგო ზაქარიაძეს, სომხეთის სახალხო არტისტს არსუ ასრიანს, თეატრის დირექტორს ჟირაირ აკოფიანს, საქართველოს სახალხო არტისტს ეკატერინე სატიანს სთხოვა სცენაზე ასულიყვიენ და საპატიო პრეზიდენტში ადგილი დაეკავებინათ. მ. მრეველიშვილმა თავისი საქმე დაამთავრა. „რაც ვინდათ, ის ვაკეთეთ, მე ჩემი მოვალეობა მოვიხადეო“ — თქვა მან და პარტერში ჩაივარდა. პრეზიდენტში ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. შემდეგ მახვილი მეგობრული რეპლიკებით პარტერი და პრეზიდენტში ერთმანეთს გამოელაპარაკენ, თუ რა თემაზე ჩამოვედლოთ საუბარი.

გრაჩია ნერსესიანმა სთხოვა ჟ. აკოფიანს ეთქვა რამე. ჟ. აკოფიანმა დაიწყო იმ მეგობრობის გახსენებით, რაც ახასიათებდა ამ ორი ქვეყნის ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, იდაპარაკა სუნდუკიანის თეატრის წარსულზე, მომავალზე, თანამედროვე თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა სიმდიერზე და სხვა საკითხებზე.

ვერიკო ანჯათარძემ აღნიშნა დიდი მსგავსება სუნდუკიანისა და მარჯანიშვილის თეატრებს შორის, აღნიშნა მათი დიდი ხალხურობა და ხალხთან დიდი კავშირი. მანაც სინანული გამოთქვა თანამედროვე პიესების სიმციროს გამო.

ასე დაიწყო მოძმე რესპუბლიკის თეატრების მოღვაწეთა საუბარი თანამედროვე თეატრის პრობლემებზე და შემოქმედებითს თანამეგობრობაზე.

გურგენ ჯანიბეკიანი და მისწრეთა ყურადღება გაამახვილა ამიერკავკასიის, კერძოდ, სომხური და ქართული თეატრების მხოლოდ ოფიციალურ მეგობრობაზე. მან უსაყვედურა სამივე რესპუბლიკის თეატრების მესვეურთ, რომ მეგობრულ შეხვედრებს კამპანიის ხასიათი აქვთ, ისინი არ ხვდებიან ერთმანეთს ისე, როგორც ჩვენი სახელგანთი წინაპრები. მან გაიხსენა ის დიდი მეგობრობა, რომელიც ჰქონდათ აკაკი წერეთელსა და გაბრიელ სუნდუკიანს, ქართველ და სომეხ მსახიობებს. მან გამოთქვა სურვილი, რომ დამყარდეს უფრო მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი.


დამსწრეთა და პრეზიდენტის თხოვნით სიტყვა წარმოთქვა კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა. მან თქვა: დღეს ისეთი შეხვედრაა, რომ საჭიროა ქება, ზოგადი მალაღობარდოვანი ფრაზების და ლოზუნგების წარმოთქმა. მაგრამ ნუ დაგაიწყდებათ, რომ მე კრიტიკოსი ვარ და საჭირო სიტყვებს ვერც ერთ კოლექტივს ახლაც ვერ ვეტყვი, რადგან ის დიდი პრობლემები, რაც ჩვენი თეატრის განვითარებასთან არის დაკავშირებული, ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩება, როგორც ჩვენი, ისე ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. საჭიროა ნამდვილი მეგობრული შემოქმედებითი თანამშრომლობა, გამოცდილების ურთიერთ გაზიარება, რათა დავაკმაყოფილოთ ჩვენი ხალხის, კომუნისტების შშენებელი ხალხის, უბრალო საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური მოთხოვნილება, და აღვზარდოთ იგი ისე, როგორც შეეფერება კომუნისტების შშენებელ ადამიანს.

გულახდილი მეგობრული საუბრის შემდეგ გამიართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ სომხეთის სახალხო არტისტი გურგენ ჯანიბეკიანი, სომხეთის დამსახურებული არტისტები გეორგი აშუღიანი, ელიშ დილაქიანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე, ვასო გოძიამვილი, თბილისის შაჰმიანის სახელობის თეატრის მსახიობი რაფიკ პაპოვიანი, მოზარდ მსახიობთა ქართული თეატრის მსახიობი ბელა ჯაფარიძე, გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი, დამსახურებული არტისტი მავრ პიასეტკი.

კონცერტს დიდი წარმატება ხვდა.

წასვლის წინ სტუმრები მიიწვია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა და უჩვენა მათ ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის კომედია „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“. სტუმრები კმაყოფილი დარჩნენ სპექტაკლით, რაც არა ერთხელ აღნიშნეს საუბარში და მილოცვის დროს.

სომხეთის თეატრალური საზოგადოება მართავს სპეციალურ სესიას, რომელიც მიმდინებდა საქართველოში საბჭოთა ხედილუფლების დამყარების 40 წლისთავს. სტუმრად მიწვეულია ქართველ სცენის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. ახლა ერევნიდან მიღებულია წერილი, რომლითაც ჩვენი სტუმრები გულითად მადლობას უხდებიან თეატრების მუშაკებს მეგობრული მიღების გამო.





რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასვრკოლაუი

მ ო ს კ ო ვ ს ა ლ ა ქ ი ე ვ შ ი

რუსთაველის თეატრი 1960 წლის 15 ივნისს თითქმის სრული შეზადღვენლობით მეექვსედ გაენეზაერა მოსკოვს. ამჟერად იგი მიიწვია კრემლის თეატრბა.

17 იენისს რუსთაველის თეატრს კურსკის ვაგზალზე შეზდენენ მოსკოვის საზოგადოებრიობის და დედაქალაქის თეატრების წარმომადგენლები. სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს სახელით ქართულ თეატრს მისელნა ბ. პოკარჩევსკი. საბასუხო სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის თეატრის დირექტორბა, საქართველოს სახალხო არტისტბა დ. ანთაძემ. იბვე სალამოს ვაზ. „ვეეჟერნია მოსკოვს“ პირველ გვერდზე რუსთაველელთა ჩასელის შესახებ დაიბეჭდა ვრცელი სტატია სათაურით „თქვენით ვავიხარეთ!“

18 იენისს, ვაზ. „იზესტიაში“ დაიბეჭდა საუბარი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ დ. ალექსიდესთან.

იბვე სალამოს სპექტაკლ „ბახტრიონით“ რუსთაველის თეატრბა დაიწყო გასტროლები. ფარდის ვახსნამდე ავანსცენაზე გამოვიდნენ მოსკოვის თეატრების წარმომადგენლები, ხელოვნების ოსტატთა დელეგაცია; რსფსრს სახ. არტისტის კ. ივანივას, რსფსრ დამსახურ. არტისტის ლ. იორდანსკაიას, რესპუბლიკის სახ. არტისტის ს. კოჩარიანის, რსფსრს სახ. არტისტის ნ. შილერის, რუსეთის თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლისა და მეორე თეატრის დირექტორის - სსრ კავშირის სახალხო არტისტის მიხეილ ცარიოვის შეზადგენლობით. ცარიოვბა გულთბილად მიმართა რა ქართველ მსახიობებს, აღნიშნა, რომ რუსთაველთა ყოველი გამოსვლა მოსკოვის სცენაზე ხელოვნების მუშაკებს ამდიდრებს ახალი წარუშლელი შთაბეჭდილებებით, რაც მოწმობს ქართული საბჭოთა თეატრის დიდ მიღწევებს. —იბედი გვაქვს, —თქვა მან დასა-

სრულს, —რომ თქვენი გასტროლები ბვერსიხარულს მოგვანიჭებს. ჩვენ იმ დიდ ხელოვნების მოლოდინში ვართ, რომლითაც ასე სახელგანთქმულია თქვენი თეატრი.

რუსთაველის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელბა, რესპუბლიკის სახალხო არტისტბა დ. ალექსიდემ თეატრის კოლექტივის სახელით ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის საზოგადოებრიობას მიდლობა გადაუხზდა გულითადი და ძმური მიღებისათვის.

დაიწყო წარმოდგენა, ფარდის ახდისთანავე ვაისმა ტაში —მხატვარ ფარნაოზ ლაბიაშვილის შესანიშნავი დეკორაციების მოწონების აღსანიშნავად. იმ სალამოს მთავარ როლებს ასრულებდნენ თამარ კვაჭავაძე (სანათა), ზინა კვერენხილაძე (ლელა), კოტე მახარაძე (ანდარეზ), სერგო ზაქარიძე (ქადაგი) და სხვები. წარმოდგენამ დიდი წარბატებით ჩაიარა. არ ცხრებოდა მქუხარე ოვაცია, სცენაზე იწვევდნენ დრამატურგ დავით ვაჩიკილიძეს, სპექტიკლის დამდგმელს დიმიტრი ალექსიდეს, ფარნაოზ ლაბიაშვილს. თავისი შთაბეჭდილება „ბახტრიონზე“ ფირზე ჩასწერა ცნობილბა დრამატურგბა ი. გლებოვბა, მან თქვა: „ბახტრიონით“ დავრწმუნდი, რომ თეატრბა სათუთად აღიდგინა თავისი აღრინდელი, შესანიშნავი ტრადიციები —გმირულ —რომანტიკული სულისკვეთბა და კიდეც ვაალრბვა იგი ახალი ნიშან-თვისებებით. უწინარეს ყოვლისა, ვგულისხმობ ადამიანური ვრწნობების უფრო სრულად წარმოსახვას, მეტ ადამიანურ სიბბოს.“

19 იენისს ორჯერ დაიდვა „ბახტრიონი“. დილით სანათას როლში გამოვიდა თინათინ ჩარკვიანი, ანდარეზის იერსახეს ქმნიდა ნოდარ ანდლულაძე. სალამოს სპექტაკლებში ლელას როლი შესარულა მედეა ჩაბავამ. ორივე წარმოდგენა მაყურებელბა კვლავ აღ-

ფრთხიანებით მიიღო. გამოჩენილმა თეატრ-მეტოდებმა, პროფესორმა ი. იუზოვსკიმ თქვა: „ჩემთვის ამ წარმოდგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუმც არ ვიციოდი რაზე მოვილოდი, მაგრამ პირველ სიტყვიდანვე ვიგრძენი, რომ ეს ახმეტელისგან მომდინარე ტრადიციაა, რომელმაც რუსთაველის თეატრს მთელს მსოფლიოში სახელი გაუთქვა. ს. ახმეტელი იყო უდიდესი მხატვარი-ნოვატორი, შემოქმედი და ეს თამამად უნდა ვთქვათ. მას რომ მოღვაწეობა განეგრძო საბჭოთა თეატრი ბევრათ უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა. ახმეტელი გმირულ-რომანტიკული სტილის ბრწყინვალე წირმიმადგენელი ვახლდათ და დღეს სწორედ იგი გამახსენდა, გამახსენდა არა სიტყვებით, არა მოგონებებით, არამედ ხელწერით, სახეებით, და ამისათვის დიდი მადლობა თქვენ, რუსთაველეებო!“

20 და 21 ივნისს კრემლის თეატრის სცენიდან რუსთაველის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ჩეხოსლოვაკელი დრამატურგის კ. კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“. სპექტაკლმა მოწონება დაიმსახურა.

რუსთაველის თეატრის გასტროლები მოსკოვში 10 ივლისამდე გაგრძელდა. გასტროლების დამთავრებასთან დაკავშირებით, სრულიად რუსეთის თეატრალურმა საზოგადოებამ მოაწყო თეატრის სპექტაკლების განხილვა.

სსრკ სახალხო არტისტმა მიხ. ჯაროვმა, რომელიც განხილვას თავმჯდომარეობდა, თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა რუსთაველის სახ. თეატრის დამსახურება და ადგილი მსოფლიო თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

რუსთაველის სახ. თეატრის საგასტროლო სპექტაკლების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ზისი. მან აღნიშნა, რომ რუსთაველის თეატრი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში სარგებლობს დამსახურებულ სახელით, არამედ სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი მოწინავე თეატრის ადგილიც მსოფლიო თეატრების გვერდით.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ ნანახი სპექტაკლებიდან (მან კი, „ირკუტსკის ისტორიის“ გარდა ყველა ნახა) შეიძლება თვითუფლებ უამრავი კარგის თქმა ისევე, როგორც შეიძლება მოიძებნოს ნა-

ლიც, მაგრამ იგი არსებითად მიიჩნევს, რომ სამ ძირითად თავისებურებას, რომელიც ამ თეატრის იდეურ და შემოქმედებით სახეს განსაზღვრავს.

აქედან პირველ თავისებურებას შეადგენს რუსთაველის თეატრის ტენდენცია თემატურ და ჟანრობრივ მრავალფეროვნებისაკენ, როგორც რეჟისურაში, ისე მსახიობთა შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი პოტენცია იმდენად განუსაზღვრელია, რომ საშუალებას აძლევს მას სცენაზე განახორციელოს ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სპექტაკლები, რომლებსაც მკაფიოდ აჩნიათ ამა თუ იმ რეჟისორის მანერა, ხელწერა. დ. ალექსიძის სპექტაკლების ცნობა ყოველთვის შეიძლება ისევე, როგორც შეიძლება გამოიყენოთ მ. თუმანიშვილის სპექტაკლები, მისთვის დამახასიათებელი რეჟისორული ხელწერით. ამ განსხვავებულ სპექტაკლებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მსახიობთა შემოქმედების მრავალფეროვნება. ძნელი ხდება ერთი და იგივე მსახიობის გამოცნობა სხვადასხვა სპექტაკლებში თავისი ნიჭის ახალი, ნაირსახივანი ფერების გამოვლენის გამო.

ამ მხრივ რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლებში მხატვართა ნამუშევრებიც საყურადღებოა. ისინი ერთსა და იმავე დროს აღიქმებიან, როგორც სპექტაკლის ორგანული კომპონენტი და ამავე დროს წარმოდგენენ დამოუკიდებელ, დასრულებულ მხატვრულ ნაწარმოებს.

მეორე თავისებურებად მომხსენებელი მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ რუსთაველის თეატრის ყველა საგასტროლო სპექტაკლი, კლასიკურია იგი თუ დღევანდლობის ამსახველი, ჭეშმარიტად თანამედროვე სპექტაკლებია, ამ სიტყვის ღრმა გაგებით, და რადგან თანამედროვეობის საკითხი, — ამბობს მომხსენებელი, — ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენს ხელოვნებაში, ამიტომ რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. თანამედროვე სპექტაკლი შეიძლება შეიქმნას ისეთ კლასიკურ ნაწარმოებზე, სადაც ლაპარაკია შორეულ წარსულზე, მაგრამ წარსულზე ლაპარაკი მაყურებელზე უნდა იწვევდეს ფიქრს დღევანდლობაზე. ასეთ შემთხვევაში სპექტაკლი ასრულებს მაღალ დანიშნულებას, იგი ჩვენს ახალგაზრდებში ზრდის მაღალ

სულისკვეთებებს. ამ აზრის საილუსტრაციოდ ა. ზისს მოჰყავს „ბახტრიონის“ მაგალითი და ამბობს, რომ სპექტაკლი თავის იერსახეთა და იდეათა წყობით, მთელი იმ ურთიერთობით, რომელიც პერსონაჟთა შორის მყარდება, საბჭოთა მასურობებს ჩააგონებს: „არა არის რა ამ ქვეყნად უფრო ძვირფასი, ვიდრე სამშობლოს სიყვარული“, და არღვან ეს გრძნობა საბჭოთა მასურებლისათვისაც დღესაც ყველაზე ძვირფასი და სანუგეზოა, ეს სპექტაკლიც, მიუხედავად იმისა, რომ იქ შე—16 საუკუნის ამბებზეა ლაპარაკი, მაინც გასაგები და საყვარელი ხდება დღესაც. ამიტომ არის იგი თანამედროვე, და ეს ანიჭებს რუსთაველის თეატრის სპექტაკლებს დიდ შეშეცნებულ მნიშვნელობას.

მესამე თავისებურებად ა. ზისი მიიჩნევს იმას, რომ რუსთაველის თეატრს აქვს მკვეთრად გამოხატული ნაციონალური ხასიათი, მისი ყველა სპექტაკლი ღრმად ეროვნულია, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ეს ეროვნულობა მჭიდვანდება არა ცალმხრივად, არა მხოლოდ ენაში და გარეგნულ აქსესუარებში, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების გამოსახებაში. რუსთაველის თეატრის ეროვნული სახე გაპირობებულია იმ საუკეთესო ტრადიციით, რომელიც არასოდეს არ აქცევს მას ტრადიციის მონად, ტრადიციონალისტურ თეატრად.

რუსურ სახალხო არტისტმა ლ. ვოლკოვმა, რომელიც ა. ზისის შემდეგ გამოვიდა, აღნიშნა, რომ რუსთაველის თეატრის მდიდარი და ძლიერი შემოქმედებითი შესაძლებლობა მთელი ისრულით გამოვლენდა იმ ორ სპექტაკლშიც, რომელიც მან ნახა. ესენია: „ამბავი სიყვარულისა“ და „ბახტრიონი“. ორივე სპექტაკლს ლ. ვოლკოვმა ზალალი შეფასება მისცა. მან თქვა, რომ კ. ბუაჩიძის პიესა დაწერილია მუსუტქად, დიდი გატაცებით, გონებრივხვედრითი ოქმობით და უშუალოდ. ყოველგვარ ეს საქმარის აღმოჩნდა ცხოველყოფილი თეატრალური სპექტაკლის შესაქმნელად.

ამისთანავე, — აღნიშნავს ორატორი, — მიუხედავად პიესის ჟანრული სიმსუბუქისა, ავტორმა და თეატრმა შესძლეს ბევრი საყურადღებო ეთქვათ ჩვენი ყოფაცხოვრების საკითხებზე.

ვოლკოვი მაღალ შეფასებას აძლევს სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს და აღნიშნავს, რომ ისინი თამაშობენ მომხიბვლელი უშუა-

ლობით, სიმსუბუქით, რაც მთავარია, მსახიობები კი კომედია—ხუმრობას (როგორც მის უწოდებს ვოლკოვი) თამაშობენ მეტად სერიოზულად, იაფფასიანი ეფექტების და გათამაშების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ მასალა ამისაკენ უბიძგებს.

მსახიობები ქმნიან დასრულებულ სცენურ სახეებს და ამ მშვენიერ მსახიობურ ანსამბლში შეუძლებელი ხდება ვისიმე ვაპოუზა. ასევე მაღალ შეფასებას აძლევს იგი სპექტაკლის რეჟისურას, ხოლო სპექტაკლის მხატვრობაში მისი აზრით, შემდეგ ნაკლს აშჩენვს: მხატვარს აქვს სურვილი შექმნას პიესისთვის შესაფერი მსუბუქი დეკორაციები, მაგრამ წინააღმდეგობაში ვარდება თავის სვეთან იმ დანადგარების სიმრავლით, რასაც სპექტაკლის აფორებმაში ვხედავთ და რაც ერთგვარად არღვევს სიმსუბუქის ატმოსფეროს.

„ბახტრიონის“ შესახებ ლ. ვოლკოვი ამბობს: ეს სპექტაკლი აღვიჭვი არა როგორც დრამატული, არამედ როგორც მუსიკალურ-პირობული პოემა, რომელშიც მსახიობები გვიხილავთ თავიანთი მონაცემების გამოვლინებით, თავისი გამიზნული მისწრაფებით, შექმნან გმირული სპექტაკლი.

სპექტაკლ „ბახტრიონის“ ლ. ვოლკოვი მიიჩნევს უადრესად საინტერესო ნამუშევრად რეჟისურის, მხატვრობის, მუსიკის და, რაც მთავარია, შესანიშნავი აქტიორული ანსამბლის თვალსაზრისით.

ლ. ვოლკოვის შემდეგ, თავისი შთაბეჭდილებები გამოთქვა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა, რეჟისორმა ვ. პლუჩიკმა. ილაპარაკა რა ორ სპექტაკლზე „როცა ასეთი სიყვარულია“ და „ბახტრიონზე“, ორატორმა თქვა, პირველი მათგანის მიხედვით შექმნილ, დღემდე ჩემს მიერ ნანახ სპექტაკლებს შორის ყველაზე მეტად მომეწონა რუსთაველის თეატრის ეს სპექტაკლი, მომეწონა ამ სპექტაკლის რეჟისორული გადაწყვეტა, მომეწონა პიესის მ. თუმანიშვილისეული გახსნა. სახელდობრ: ნაცვლად უბრალო ყოფითი ჟანრული თხრობისა, რეჟისორი იძლევა მორალური მხილვების პათოსს, რაც ნამდვილადამიანური დრამის სიმალღმდეგ აღის. გასცდა რა ვიწრო ყოფითობის ჩარჩოებს და ამაღლდა რა ეთაქურ-მორალური დრამის დონემდე, სპექტაკლი გამოვიდა უადრესად ამაღლვებელი

და საინტერესო. ამას გარდა პლუტეკი აღნიშნავს, რომ სპექტაკლი „როცა ასეთი სიყვარულია“ შეიძლება ჩაითვალოს რეჟისორის ნამუშევრის კულტურის სანიმუშო მაგალითად; რომ ეს კულტურა სჩანს სპექტაკლის კომპოზიციაში, მიზანსცენების განლაგებაში, მსახიობთა მოქმედებასა თუ მოძრაობაში, რომ ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობთა პლასტიკა უაღრესად მეტყველი და გამომსახველია.

პლუტეკმა შემდეგი შენიშვნაც გააკეთა: სპექტაკლში არ არის ლოგიკური თანმიმდევრობა, დედის, მამის, სტებორისა და სხვათა სახეები თანდათან ჯნდა იძენდნენ იმ თვისებებს, რაც აქ მსახიობების მიერ თავიდანვე რელიეფურად არის გამოკვეთილი.

პლუტეკი აძლევს რა რუსთაველის თეატრის რეჟისურას მაღალ შეფასებას, ამბობს: გვხიბლავს ეს გასწავლილი, რომ რეჟისორებმა ყოველთვის იციან ძირითადის, მთავარი მომენტის გამოჩენა და მისი გასუფთავება ყოველგვარი ზედმეტობისაგან. რეჟისორული ხერხების ზომიერი, ეკაცი და ცვლით აღსანიშნავია სპექტაკლი „ბახტრიონი“. პლუტეკს მოსწონს დ. ალექსიძის მიერ მონახული სპექტაკლის გადაწყვეტის ფორმა, რომ სპექტაკლი გადაწყვეტილია გვირგვინი სულისკვეთებით და ეფექტური მგზნებარებით, ყოველგვარი ოპერული შეღამაზების გარეშე. თუმცა მასალის ლევენდარული ხასიათი სცენაზე არქეოლოგიურ სიძველეთა ჭარბად გამოტანის საშიშროებას ქმნიდა, მაგრამ ეს არ მოხდა. სწორედ აქ გამოიყვანა რეჟისორის კულტურა, ზომიერების გრძობა. „ბახტრიონი“ რეჟისორული ნამუშევრის მაღალი კულტურის თვალსაჩინო მაგალითია.

რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებაზე ილაპარაკა მხატვარი მ. კურიკოვი, რომელმაც აღნიშნა თეატრში მხატვრული გაფორმების მაღალი დონე, თეატრის ყოველ სპექტაკლს, — თქვა ორატორმა, — აქვს თავისი განსაკუთრებული გადაწყვეტა, ინდივიდუალური ხასიათი; ყოველი სპექტაკლის გაფორმებაში იგრძნობა რეჟისორის და მხატვრის ჩანაფიქრის პარამონიულობა. რუსთაველის თეატრის სპექტაკლების მხატვრული გაფორმება, უპირველესად ყოველსა, გვხიბლავს თავისი ლაკონიურობით, იმით, რომ სპექტაკლების გაფორ-

მებაში არაფერია ზედმეტი, არაფერი უშლის ხელს მსახიობის მოქმედებას; აქ ყველაფერი ზომიერია, თავის ადგილზეა და გამოიჩინება დიდი გამომსახველობით. ამ მხრივ „ბახტრიონის“ გაფორმება სანიმუშოა. მხატვარი ახერხებს, რომ ის მაყურებელიც კი, ვინც არ იცნობს პიესას, არ იცნობს ვაჟას პიესას, ფარდის ახდისთანავე შეიყვანოს ნაწარმოების არსში და ანიშნოს, თუ რა დიდი გრძობები უნდა გათამაშდეს. თ. ლაპიაშვილს მშვენიერად აქვს გადაწყვეტილი სცენაური პლანშეტი, მონახული აქვს ზუსტი მასშტაბი. სპექტაკლი გადაწყვეტილია დიდებული ფერწერული საშუალებებით და გვხიბლავს თავისი გრანდიოზულობით.

შემდეგ კურიკოვი შეგრძობს „ამბავი სიყვარული“ გაფორმებაზე და თქვა, რომ იგი გადაწყვეტილია კომედიისათვის საჭირო სიმსუბუქით, რომ გაფორმებაში იგრძნობა მხატვრის ღიმილი, აქვე მიუთითა ზოგი სცენის სტილიზაციაზე.

მ. კურიკოვი მაღალი შეფასება მისცა დ. თავაძის მიერ გაფორმებულ „ირკუტსკის ისტორიას“ და „როცა ასეთი სიყვარულია“; „ირკუტსკის ისტორიაში“ ორატორს მოსწონს მხატვრის მიერ შექმნილი საერთა ატმოსფერო. განსაკუთრებით აღნიშნავს დ. თავაძის ნამუშევარს სპექტაკლში „როცა ასეთი სიყვარულია“, რომლის მხატვრული გაფორმება გამოიჩინა სადა და თავისუფალი გააზრებით.

ო. რეინისმა ილაპარაკა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით სახეზე, მის ღირსებაზე. საკასტროლო სპექტაკლები, — თქვა ორატორმა, — ყურადღებას იპყრობენ თეატრალობით და ტრეპეჯამენტით, ტრეპეჯამენტი იგრძნობა ყველა მსახიობის შესრულებაში. რეინისი მაღალ შეფასებას აძლევს ს. ზაქარიასის საინტერესო და მრავალფეროვან ნიჭს და დასძენს, რომ მის მიერ შესრულებულ სამივე სახეზე (ოიდიპოს მეფე, კაცი შანტიით და ქადაგი) შეიძლება მთელი წიგნის დაწერა.

შემდეგ რეინისი შეგხო პიესას „ამბავი სიყვარული“ და განაცხადა, ეს არის ღრმა პიესა, რომლის მოჩვენებით სიმსუბუქეში მეტად ღრმა ქვეტექსტი დევს. იგი არ ეთანხმება იმ აზრს თითქოს ეს პიესა ხუმრობა იყოს. იგი დადებითად აფასებს როგორც



პიესას, ისე სპექტაკლს და ამბობს, რომ „ამბავი სიყვარულისა“ გამოირჩევა სიცოცხლის უნარიანობით, რიტმულობით, მსახიობთა ნიჭიერი შესრულებით. ორატორი განსაკუთრებით გამოყოფს გ. ვეგემკორის ქათამაძეს, რომელზედაც თქვა—„მე არ მასსოვს, რომ უკანასკნელ წლებში შექმნილიყოს ისეთი სახე, რომელსაც ჩვენ მივიჩნევდით რიტმულ მხატვრულ სახედ, ერთიან და ამავე დროს მრავალმხრივ სახედა“.

რეინისმა რამდენიმე შენიშვნა გააკეთა სპექტაკლებზე „როცა ასეთი სიყვარულია“ და „ირკუტსკის ისტორია“. დასასრულ, ხაზგასმით აღნიშნა: რუსთაველის თეატრი თავისი შემოქმედებითი თავისებურებით მტკიცედ დგას ჩვენი საბჭოთა თეატრის ძირითად ხაზზე—ჭეროიკულ მიმართულებაზე, რადგან ეს მისთვის ახლობელია, რადგან ამ თეატრს აქვს გვირუკი ხასიათის დიდი გრძობების ასახვის ტრადიცია.

რევისორმა ნ. რიაბოვმა ყურადღება გაამახვილა სპექტაკლებზე—„ოტელოსა“ და „ბახტრიონზე“. უდავოა ხორავას და ვასძის, სცენის ამ კორიფეების შესრულების მაღალი დონე, მაგრამ ამ სპექტაკლების დანარჩენი შესრულებები ვერ ქმნიან ამ ტალანტებისათვის შესაფერ კონამბლსა. „ბახტრიონის“ იგი მიიჩნევს მონოლითურად, იგი წარმოადგენს თეატრალურ ხელოვნების კომპონენტთა პარმონიულ შერწყმის ნიშნულს.

განხილვის დასასრულს სსრკ კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა თქვა, რომ, რუსთაველის თეატრის სავასტროლო სპექტაკლებზე დიდი ესთეტიური სიამოვნება მიანიჭა მოსკოველ მაყურებელს. მასთან, თეატრის ხელმძღვანელობის უსაყვედურა თანამედროვეობის ამსახველი პიესების სიმძივრე განხილულ რეპერტუარში. იმ სპექტაკლებსაც კი, რომლებიც თანამედროვე ცხოვრების მასალაზე შექმნილი, აკლავთ თანამედროვე ჟღერადობა, რომ სპექტაკლებს „როცა ასეთი სიყვარულია“ და „ირკუტსკის ისტორიას“ მისი აზრით, ნეორეალიზმის ელფერი დაკრავს. მე მსურდა მენახა „ირკუტსკის ისტორია“, ქართული სულით ამტკველებული, ქართული ნირით და არა შესრულებული ნეორეალიზმის მეთოდით, რომელიც არავითარ შემთხვევაში ჩვენი ხელოვნების გზა არ არის,—დასკვნის ორატორია.

რუსთაველის თეატრის სავასტროლო სპექტაკლების განხილვა მოეწყო აგრეთვე კიევში, უკრაინის თეატრალურ საზოგადოებაში. აქ სხდომის თავმჯდომარეობდა სსრკ სახალხო არტისტი ნ. უუვი, რომელიც გულთბილად მისსაღამ თეატრის კოლექტივს უკრაინის საზოგადოების და თეატრალურ მოღვაწეთა სახელით.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ი. კოსტიუკი. მან ილაპარაკა ქართველი და უკრაინელი ხალხების მეგობრობაზე. მოკლე მიმოხილვა გაუკეთა თეატრის სავასტროლო სპექტაკლებს და აღნიშნა, რომ სავასტროლო სპექტაკლებში მაყურებელმა დაინახა, თუ რა წმინდად და სათუთად ინახავს და აწვითარებს თეატრი იმ შესანიშნავ ტრადიციებს, რომლებიც დიდმა რეჟისორებმა კ. მარჯანიშვილმა და ს. ახმეტელმა დაწერეს ამ თეატრში.

შემდეგ კოსტიუკმა თეატრს საჩუქრად გადასცა უკრაინული თეატრის ისტორიის მეორე ტომი.

ფილოლოგიურ მეციერებათა კანდიდატი ი. ბელოშტანი ლაპარაკობს იმ დიდი შთაბეჭდილების შესახებ, რაც თეატრის სპექტაკლებმა მოახდინეს კიეველ მაყურებელზე, რომ რუსთაველთა ხელოვნება თავისი ზემოქმედებით მომზიბველდია, რომ ამ ზემოქმედების ძალას განსაზღვრავს სავასტროლო სპექტაკლების მაღალი იდეურობა და სასცენო ხელოვნების დიდი ოსტატობა.

ბელოშტანი შეეხო სპექტაკლ „ბახტრიონის“ და „ოდიშის მეფის“ ორ შემსრულებელს ა. ხორავას და ს. ზაქარიძეს.

„ბახტრიონის“ შესახებ მან თქვა, რომ ეს სპექტაკლი ატყვევებს მაყურებელს უდიდესი პატრიოტული მგზნებარებით და მსახიობთა შემოქმედების მაღალი ოსტატობით, რომ მიფელი სპექტაკლის მანძილზე სცენებზე მიმდინარე მღელვარე ცხოვრება გვიხილავს თავისი გამარული, კეთილშობილური იდეით.

მაღალ შეფასებას აძლევს ბელოშტანი ა. ხორავას მიერ ოდიშობის როლის განსახიერებას და ამბობს, რომ აქ იგრძნობა სცენის დიდი ოსტატის შინაგანი ძლიერება, რომ ხორავა-ოდიშობის გამაჩინისთანავე მთელი დარბაზი მისი ძლიერი ხასიათის, ნებისყოფის მორჩილი ხდება, და შეუნელებელი ინტერესით ადევნებს თვალს მის მოქმედებას სცენაზე.

ს. ზაქარაიძის ოდიშოსი მაცურებელს ან-
ციფერებს განსახიერების უდიდესი ექსპრე-
სიულობით და ოდიშოსის ხასიათის როგორც
შინაგანი, ისევე გარეგანი მონახაზის ლოგი-
კურობით.

სპექტაკლი „ოდიშოსის მეფე“ თეატრის
მიერ გაღაწვეტილია თავისებური ხერხებით,
სადაც ქორო განსაკუთრებულ ემოციურ ფონს
ქმნის სამსახიობო ოსტატობისათვის.

შემდეგ ი. ზელოშტანი ხორავას ზიერ შე-
ქმნილ ოტელოს სახეზე შეჩერდა და აღნიშ-
ნა, რომ მაცურებელში წარუშლელ შთაბეჭდი-
ლებას სტოვებს და ანციფერებს ხორავას ნა-
მუშევარი „ოტელიოში“; რომ ხორავა თამა-
შობს არა შეურაცყოფილი და დამცირებუ-
ლი ადამიანის ექვიანობის გრძნობას, არამედ
ქმნის ჭკვიანი მხედართმოავრის და მოაზრო-
ვნის მომხიბველ სახეს.

სპექტაკლ „ოტელიო“ შეიხო თეატრმოცო-
დენ ე. პისკუნეც — „ოტელიო“ სამართლიანად
ითვლება შექსპიროლოგიაში ისტორიულ ეტა-
პად, ვინაიდან პირველად რუსთაველის თეა-
ტრმა გახსნა ოტელიოს ტრაგედია, როგორც
ნდობის ტრაგედია, და ასეთი ტრაქტოვით
გაღაწვეტილ სპექტაკლში ხორავას ოსტა-
ტურ თამაშს დიდად შეუწყია ხელი ისეთი
პარტნიორმა, როგორც აქაც ვასაძე იავოს
როლში, რომ ასეთი უბრალო და მომხიბ-
ვლელი იავოს გვერდით, მხოლოდ ნდობის
თამაშში დასაჯერებელი. აქ გამოვლინდა არა
მარტო უზომოდ მაღალი ოსტატობა, არამედ
ქართველი მსახიობებისათვის დამახასიათებ-
ელი კულტურა და შემოქმედებითი მიძიებ-
ლობა.

განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი,
— თქვა ორატორმა, — რომ ამ გასტროლში
თეატრმა კიეველ მაცურებელს აგრძნობინა,
რომ რუსთაველის თეატრი არის ემოციური
სიღრმის, მაღალი პოეტური სიმართლის თეა-
ტრი, რომელიც წმინდად ნიხავს თეატრი-
სათვის დამახასიათებელ რომანტიულ ზეაქე-
შლობის ტრადიციას, რომ ამის დიდსაღუ-
რება სპექტაკლი „ოდიშოსის მეფე“ და „ბა-
ხტრიონი“. სასიხარულოა აგრეთვე ის გარე-
მოებაც, რომ თეატრმა ერთგვარი შემოქმე-
დებით ესტაფეტას მიმართა, გამოი-
ყვანა რა ოდიშოსის როლში 3 თაო-
ბის წარმომადგენელი, სასურველი იქნებო-
და ასეთივე ესტაფეტა გვენახა „ოტელიოში“.

შემდეგ აღნიშნა რა თეატრის საგასტრო-
ლო სპექტაკლების მაღალი კულტურა, პის-
კუნმა განაცხადა: ნაჩვენები უნდა ყოფილი-
ყო სპექტაკლები თანამედროვე საქართველო-
ზე, მის ახალგაზრდობაზე, სპექტაკლები, სა-
დაც ჩვენ ვნახავდით თუ რა აღვლევდებ და
რით ცოცხლობს დღეს ქართველი ახალგაზ-
რდობა. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები
არ აღმოჩნდა საგასტროლო რეპერტუარში,
მხოლოდ ერთი სპექტაკლით. („ამბავი სიყვა-
რულისა“) იყო წარმოდგენილი თანამედროვე
საქართველო და მისშიც ზოგიერთი სცენა
გაღაწვეტილია დროისა და სივრცის გარეშე.

მაღალი შეფასება მისცა პისკუნმა სპექ-
ტაკლს „როცა ასეთი სიყვარულია“. თეატ-
რი ღრმად ჩასწვდა პიესის შინაარსს და
ემოციურად ძლიერი სპექტაკლი გვიჩვენა, —
ამბობს ავტორი, — რაც განსაკუთრებით და-
საფასებელია, ამ პირობითი ხერხებით დაწე-
რილი პიესის განხორციელებისას სჩანს ყვე-
ლა მსახიობის უშულო და რელისტიური
თამაში. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია
ს. ზაქარაიძის კაცი მანტიით. პისკუნე ამ-
ბობს, რომ ს. ზაქარაიძის სახით ქართულ
თეატრს ჰყავს უდიდესი ტალანტის, კემშა-
რიტად დიდი ოსტატობის და ვენებების ისე-
თი მსახიობი, როგორსაც რუსთაველის თეა-
ტრის შემოქმედებითი პროფილი მოითხოვს.

სახალხო თეატრის რეჟისორი ე. სვეტი-
ციკი შეიხო სპექტაკლებს „ოტელიოს“, „რო-
ცა ასეთი სიყვარულია“ და „ოდიშოსის მე-
ფეს“ და ისინი დიდი ხელოვნების ნიმუშე-
ბად ჩასთვალა. ორატორმა განსაკუთრებით
შეჩერდა აქ. ხორავას, აქ. ვასაძის და ს. ზა-
ქარაიძის შემოქმედებაზე.

ს. ზაქარაიძე, — სთქვა მან, — დიდი თანამე-
დროვე მსახიობია, ხოლო აქ. ხორავას და
აქ. ვასაძის ბრწყინვალე თამაში ოტელიოს და
იავოს როლებში სამსახიობო ოსტატობის
მაღალი ნიმუშებია.

უკრაინის სახალხო არტისტმა ა. პისკუნო-
ვმა ილაპარაკა რა რუსთაველის სახ. თეატ-
რის შემოქმედებით სახეზე აღნიშნა, რომ ამ
თეატრის შემოქმედება ხიბლავს მაცურებელს
ძლიერი ტემპერამენტით და შესრულების
მაღალი ოსტატობით. ეს მაღალი ოსტატო-
ბა დამახასიათებელია არა მხოლოდ სცენის
კორიფეებისათვის, არამედ თეატრის მთელი
კოლექტივისათვის, რომ ამ თვისებათა გამო

იგი შეიძლება მიჩნეულ იქნეს ახლგაზრდობის აღზრდის შესანიშნავ სკოლად.

უკრაინის სახალხო არტისტმა ე. ხარჩენკომ სიტყვა ძირითადად ორ სპექტაკლს „ოიდიპოს მეფეს“ და „ბახტრიონს“ მიუძღვნა. ამ სპექტაკლებში, — თქვა ორატორმა, — მთელი სისრულით გამოვლინდა რუსთაველის თეატრის ის თვისებები, რითაც იგი იმსახუ-

რებს მაყურებელთა საერთო მადლობას აღტაცებას, რომ მისი მსახიობები, რეჟისურა, მთელი შემოქმედებითი კოლექტივი პრინციპულად და მკაცრად იცავენ თეატრში დიდი მოქალაქეობრივი მოწოდების ხაზს, რითაც იგი ზრდის არა მხოლოდ მაყურებელთა აზრებს, არამედ მის გრძნობებსაც.



საქართველოს თეატრალური საზოგადოება

1960 წელს

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ სკეპარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად, 1960 წლის მანძილზე მრავალფეროვანი ნაყოფიერი მუშაობა გასწავია.

პირველი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ახლად დაარსებული სახალხო თეატრების მუშაობის შესახებ მოწვეული რესპუბლიკური კონფერენცია. დღის წესრიგში იდგა საკითხები: „საქართველოს სახალხო თეატრები თანამედროვე ეტაპზე“ (მომხსენებელი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი აბესალომ კალანდარიშვილი), „საქართველოს სახალხო თეატრების შემოქმედებითი გზები“ (მომხსენებელი რეჟისორი შოთა მესხია), კონფერენციამდე რესპუბლიკის 22 სახალხო თეატრსა და ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრში საზოგადოებამ მიაღწინა შემოქმედებითი ზრდივადები. მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს კონფერენციის მუშაობაში.

საზოგადოების მიერ მოწვეული მეორე კონფერენციაც, სახელმწიფო და სახალხო თეატრების სადადგმო ნაწილების მუშაობას მიეძღვნა, წაკითხული იქნა სამი მოხსენება: 1) „მომდინარე სპექტაკლების მხატვრული გაფორმება“, (მომხსენებელი ხელოვნ. დამს. მოღვაწე ფ. ლაპიაშვილი); 2) „სადადგმო ნაწილის მდგომარეობა თეატრში“ (მომხსენებლები კ. ხუნდაძე და მ. ვახინასკვი).

გარდა ამისა ქუთაისში ჩატარდა თეატრის მკვლევართა და საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამომცემლობა „ხელოვნებას“ მიერ გამოცემული წიგნების მკითხველთა კონფერენცია. წაკითხული იქნა მოხსენებები: 1. „თანამედროვე ქართული დრამატურგია“ (მომხს. მწერალი ალ. ადამია), 2. „ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის რეპერტუარი“ (მომხს.

ხელოვნების დამს. მოღვაწე დ. ჯანელიძე). შემდეგ მკითხველთა ფართო აუდიტორიაში განხილული იქნა წიგნები „უშანგი ჩხეიძე“, „ვასო ყუშიტაშვილი“, „ეფემია მესხი“ და „სერგეი მესხი“. მოხსენებები წაკითხეს გ. სამხარაძემ, მ. ტუშკიამ, გ. ქუთათელაძემ და ს. არველაძემ.

მკვლევართა კონფერენცია მოეწყო აგრეთვე ქუთაისში, განხილული იქნა აკ. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები. მოხსენებები წაკითხეს ხელოვნების დამს. მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა და კრიტიკოსმა ბ. აბულაძემ.

უკანასკნელ წლებში ტრადიციულ იქცა ამიერკავკასიის მოზარდ მკვლევართა თეატრების სპექტაკლების დათვალიერება. 1960 წელს ასეთი ღონისძიება ჩატარდა ქალაქ ერევანში, სადაც მოზარდ მკვლევართა ქართული თეატრი წარდგენილი იქნა სპექტაკლ - „ციციანი“ (დრამატურგ გ. ნახუცარიშვილის მიერ ინსცენირებული). ამ სპექტაკლმა დათვალიერებაზე მაღალი შეფასება მიიღო.

გარდა ამისა, საზოგადოებამ მონაწილეობა მიიღო სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების გამსვლელ სესიაზე, რომელიც კაბარდო-ბოლკარეთის ასს რესპუბლიკის დედაქალაქ ნალჩიკში ჩატარდა. საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა—რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. ყუშიტაშვილმა წაკითხა მოხსენება თემაზე „საქართველოს სახალხო თეატრების შემოქმედებითი მუშაობა“. ხოლო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანკვიშვილმა—„საქ. სახალხო თეატრების რეპერტუარი“.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოაწყო სპეციალური სესიები. წაკითხული იქნა მოხსენებები: „საბჭოთა აზერბაიჯანის 40 წლისთავი“,—მომხს. ფილოლოგურ მეცნიერება-

თა კანდიდატი თ. ჯაფარილი: „ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხთა ისტორიული მეგობრობა“,— მომხს. სახალხო პოეტი, აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი, „ქართული და აზერბაიჯანული თეატრების მეგობრობის ესტორიისათვის“,— მომხს. თეატრის ისტორიკოსი ნ. გერსამია.

საბჭოთა სომხეთის 40 წლისთვისადმი მიძღვნილ სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. ს. კაკაბაძე— „ქართველ და სომეხ ხალხთა ისტორიული მეგობრობა“, ხელოვნ. დამსახ. მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი— „სომხური დრამატურგია ქართულ სცენაზე“ და მწერალი ს. ავჩიანი— „ქართული დრამატურგია სომხურ სცენაზე“.

გარდა ამისა მოეწყო ორი გამსვლელი სესია. პირველი ჩატარდა გორში და მიეძღვნა ქართული თეატრის 110 წლისთავს. აქ წაკითხული იქნა მოხსენებები: „გიორგი ერისთავის ცხოვრება და შემოქმედება“,— მომხს. პროფ. დ. გამეზარდაშვილი და „გიორგი ერისთავის თეატრი“,— მომხს. ს. გერსამია.

მეორე სესია გაიმართა ზუგდიდში და მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის ცხოვრებასა და შემოქმედებას. აქ წაკითხული იქნა შემდეგი მოხსენებები: „შალვა დადიანი, როგორც საზოგადო მოღვაწე“,— მომხს. ო. ეგაძე, „შალვა დადიანის დრამატურგია“,— მომხს. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გ. ციციშვილი და „შალვა დადიანი და ქართული თეატრი“,— მომხს. მწერალი როდონ ქორქია.

საზოგადოებამ მოაწყო დისკუსიები: რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლ „ბახტრიონზე“ (მომხ. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი დ. ბენაშვილი), მარჯანიშვილის სახ. თეატრის სამ სპექტაკლზე „ჩემი ყვავილეთი“ (მომხს. ო. ეგაძე), „ორი ფერი“ და „ამერიკული ტრაგედია“ (მომხსენებლები: ბენაშვილი და მ. მ. გეგეიშვილი), გრიბოედოვის სახ. თეატრის სპექტაკლებზე „უკანასკნელი გაჩერება“, „შორეული ექო“ და „ყველანი ადამიანებად რჩებიან“ (მომხსენებლები: ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატები ნ. შალუტაშვილი და ეთ. გუგუშვილი).

საზოგადოებამ ფართო მონაწილეობა მიი-

ღო სსრ კავშირის სახალხო არტისტის აკადემიის (მომხს. გრ. აბაშიძე) და საქ. სსრ სახალხო არტისტ ემ. აფხაიძის საიუბილეო საღამოებში (მომხს. შ. ძიძიგური).

საზოგადოების აქტიური მონაწილეობით გაიმართა აგრეთვე ქართული თეატრის მოღვაწეთა შემოქმედებითი საღამოები: ხელ. დამს. მოღვაწის დ. ძნელაძის (მომხს. პროფ. პ. ხუჭუა), მალიკო მრეველიშვილის (მომხს. ხელ. დამს. მოღვაწე აკ. ფალავა), რესპუბლიკის დამს. არტისტის ნ. სირბილაძის (მომხს. ანა ღვინიაშვილი), პ. თათეოსიანის (მომხს. ს. ავჩიანი), ძველი სცენის მოღვაწის ს. ჩიტაძის (მომხს. პ. ფრანგიშვილი), ვ. სვანელის (ჭიათურა, მომხს. დ. ჩხეიძე), თამარ ყიფშიძის (რუსთავეის სახალხო თეატრი, მომხს. პ. ფრანგიშვილი) ბ. დურმიშიძის (ჭიათურა, მომხს. დ. ჩხეიძე), მ. ბუბუტეიშვილის (რუსული მიზარდ მყურებელთა თეატრი, მომხს. რეჟ. მ. ოლშანიკაია), ძველი სახალხო თეატრის სცენის მოღვაწის ები. კულულაშვილის (მომხს. გ. ბუხნიკაშვილი) და სხვათა საღამოები.

საზოგადოება პერიოდულად აღნიშნავს თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების დამსახურებას და ხსოვნას. სანგარბოშო წელს საღამოები მიეძღვნათ აკაკი წერეთელს (მომხს. ს. გერსამია), გ. არადელ— იშხნელს (ქარელში, მომხს. პ. ფრანგიშვილი), მაკო საფაროვა— აბაშიძისას (მომხს. აკ. ფალავა), შალვა დადიანს (მომხს. ბ. ჟღენტაი), ანტონ ჩეხოვს (მომხს. აკ. ფალავა), ვ. კახალოვს (მომხს. ნ. შალუტაშვილი) და გამოჩენილ ალბანელ მსახიობს ალექსანდრე მოისისს (მომხს. სსრ კავშირის სახ. არტისტი აკ. ხორავა).

1960 წლის ნინიღზე საზოგადოება განაგრძობდა ნაყოფიერ მოუზაბას რესპუბლიკის თეატრების მუშაკთა შემოქმედებითი თანამეგობრობის განმტკიცებისათვის. როგორც დედაქალაქის, ისე პერიფერიულ სახელმწიფო და სახალხო თეატრებში იზაზუნებოდა ბრიგადები— რეჟისორის, დრამატურგის, კრიტიკოსის, მხატვრის, გრომოორისა და თეატრმცოდნის შემადგენლობით. ისინი ადგილებზე ათვალერებდნენ სპექტაკ-

ლებს და თეატრის კოლექტივებს უზიარებდნენ თავიანთ აზრებსა და შენიშვნებს.

განხილული იქნა თბილისის მოზარდ მყურებელთა თეატრის 3 სპექტაკლი, მოზარდ მყურებელთა რუსული თეატრის 3, გრიბოედოვის სახელობის თეატრისა 4, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის 2 სპექტაკლი. პერიფერიული სახელმწიფო და სახალხო თეატრებისა: ახალციხეში 4 სპექტაკლი, ამბროლაურში 3, ბორჯომში 2, ბოლნისში 2, ბათუმში 7, გურჯაანში 3, გორში 7, დუშეთში 2, ზუგდიდში 4, თელავში 3, ლაგოდეხში 6, ლანჩხუთში 2, მცხეთაში 4, მხაბრძეში 4, ონში 3, ორჯონიკიძეში 2, რუსთავში 3, სტალინოროში 9 (ქართული და ოსური კოლექტივებისა), სოხუმში 11 (ქართული და აფხაზური კოლექტივების), სვანურჯომში 2, ყვარელში 2, ჩხობატურში 2, ცხაკაიაში 2, ცაგერში 3, ფოთში 4, ქუთაისში 6, ჭიათურაში 7, ახმეტის კულტურის სახლში 2, სამტრედიოში 1, სიღნაღში 2 და სხვ. სულ ამ თეატრებში და კულტურის სახლების თვითმოქმედ დრამატულ წრეებში განხილული იქნა 112 სპექტაკლი.

აღნიშნულ ბრიგადებზე შედოდა: პროფ. აკ. ფაღავა, პ. ფრანგიშვილი, შ. აღსაბაძე, შ. კილოსანიძე, ნ. გოძიაშვილი, ვ. მურღულია, დ. ჯანელიძე, ს. მთვარაძე, მ. ჯაფარიძე, აკ. დევციძე, თ. ბაქრაძე, გ. სარჩიმელიძე, დ. ხუციშვილი, მიხ. გიჟიშვილი, ალ. მიქელაძე, გრ. ნუცუბიძე, ბ. აბულაძე, თ. ჯანელიძე, ვ. კიკნაძე, ნ. შვანიტრაძე, მ. ჩხეიძე, ელ. გელდიანიშვილი, შ. მაჭავარიანი, მ. დედანიშვილი და სხვ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება სოხუმის, მხაბრძის, რუსთავის კულტურის სახალხო უნივერსიტეტებში, აგრეთვე სახელმწიფო და სახალხო თეატრების კოლექტივებში აწყოზდა ლექცია-მოსხენებებს თემაზე „ხელოვნების სპეციფიკა“, „ხელოვნების პარტიულობა“ (მომხს. დოცენტები შ. გაბილია და ნ. ქავჭავაძე), „მხატვრული გემოვნების აღზრდის შესახებ“ (მომხს. ი. თავაძე), „საბჭოთა ხელოვნების განვითარების გზები“ და „ძველი ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები“ (მომხს. დოც.

ი. ურუშაძე), „ძველი ქართული თეატრი“ და „ქართული საბჭოთა თეატრი“ (მომხს. დ. ჯანელიძე) „ქართული მუსიკის ისტორიის საკითხები“ და „ქართული საბჭოთა მუსიკა“ (მომხს. პროფ. პ. ხუჭუთა), „რეჟისორის მუშაობა სახალხო თეატრში“ (ვ. მურღულია, მიხ. გიჟიშვილი, ნ. გოძიაშვილი); „სახალხო თეატრის რეპერტუარი“ (ვ. კიკნაძე, ვ. ლოლაძე, აკ. დევციძე და სხვ.), „რიტმი სპექტაკლში“ (შ. მაჭავარიანი), „გრიმი სპექტაკლში“ (გ. სარჩიმელიძე, მ. დედანიშვილი), „ქორეოგრაფია დრამატულ თეატრში“ (მ. შუბაშვილი), „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლის შექმნაზე“ (ხელ. დამს. მოღვაწე გ. დვინიაშვილი, ალ. მიქელაძე, შ. აღსაბაძე), „სასცენო მეტყველების ტექნიკა“ (მალ. მრეღ. დ. დვინიაშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი და თ. ბაქრაძე), „სანდრო ახმეტელის ცხოვრება და შემოქმედება“ (ნ. გოძიაშვილი), „გ. არადელი-იშხნელის ცხოვრება და შემოქმედება“ (პ. ფრანგიშვილი), „აკაკი წერეთელი და ქართული თეატრი“ (ვ. კიკნაძე, ს. გერსამია, ე. დავითაია), „ქართული საბჭოთა დრამატურგია 40 წლის მანძილზე“ (ალ. ადამია, მიხ. ჯაფარიძე), „თოჯინების თეატრის წარმოშობის ისტორია“ (ს. ცაგარეიშვილი), „საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობა და მისი ამოცანები“ (დ. ძენელაძე, ვ. ნინიძე, ნ. ქეკელიშვილი) და სხვ. სულ ზემოაღნიშნულ თემებზე რესპუბლიკის თეატრებში ჩატარებულია 145 ლექცია მოხსენება.

შარშან თბილისის საგასტროლოდ ესტუმრნენ მ. აზიზბეკოვის სახელობის ბაქოს სახელმწიფო თეატრი, სტანისლავსკის სახელობის მოსკოვის დრამატული თეატრი და მოსკოვის ბოშათა თეატრი „რომენი“. გასტროლების დამთავრების შემდეგ მოეწყო საგასტროლო სპექტაკლების განხილვა. მოხსენებები წაიკითხეს ე. გუგუშვილმა და ხელ. დამსახ. მოღვაწემ ვ. კუკულაძემ (სტანისლავსკის სახ. თეატრზე), რესპ. სახ. არტისტმა არჩ. ჩხატიაშვილმა და მხატვარმა შ. ჟორჯოლაძემ (აზიზბეკოვის სახ. თეატრზე). თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ (მოსკოვის ბოშათა თეატრზე).

თბილისის ესტუმრა აგრეთვე ლ. მესხი-



შვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც თბილისელ მასურებელს უჩვენა „ოტელო“, „მოკვეთილი“, „კოლხეთის ცისკარი“, „თვალუწვედნელი სივრცეები“, „თხუნელა“, „ყვარყვარე თუთაბერი“ და „მემობრუნება“. გასტროლების დამთავრების შემდეგ, საზოგადოებამ მოაწყო ამ სპექტაკლების განხილვა; მოხსენებებით გამოვიდნენ კრიტიკოსი ბ. ჟღენტი, მალ. მრეველი-შვილი და შ. ჟორჯოლაძე. ქუთაისის თეატრის სპექტაკლებმა თბილისელი მასურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

თეატრალურმა საზოგადოებამ, საქ. სსრ კულტურის სამინისტროსა და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადის მომზადებასა და ჩატარებაში. საზოგადოებამ წინასწარ სპეციალურად მიავლინა გამოცდილი ხელოვნების მუშაკები—საგარეჯოს, გურჯაანის, ახმეტის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, მახარაძის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ბათუმის, ქობულეთის, ქედის, კასპის, ხაშურის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, გეგეჟკორის, მცხეთის, ყაზბეგის, დუშეთის, ბორჯომისა და გორის რაიონებში. მივლინებულნი

ადგილზე ეცნობოდნენ თვითმოქმედი ბის მუშაობაში და მეთოდურ დახმარებას უწყევდნენ მათ.

საზოგადოებამ გასულ წელს აღნიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი. მოხსენება თემაზე: „ლენინის სახე ქართულ თეატრში“—წაიკითხა ხელ. დამს. მოღვაწემ დ. ჯანელიძემ. საზოგადოებამ აღნიშნა ქალთა საერთაშორისო დღე—8 მარტი. მოხსენებით გამოვიდა ეთ. გუგუშვილი.

გასულ წელს საზოგადოებამ თავისი მე-4 პლენუმი მიუძღვნა ქართული თეატრალური კრიტიკის მდგომარეობას. პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიხ. მრეველიშვილმა. მოხსენებით თემაზე: „კრიტიკა და ჩვენი თეატრალური სინამდვილე“,—გამოვიდა საქ. თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო—შემოქმედებითი განყოფილების გამგე თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე. პლენუმზე განხილულ იქნა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის და თეატრმცოდნეობის მთელი რიგი აქტუალური საკითხები. კამათში მონაწილეობა მიიღო 25 ორატორმა.

ასეთია გასულ 1960 წელს საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა.

ქ რ ო ნ ი კ ა

სახსოვრებალი სახლი

საქართველოს თეატრალური საზოგადოება და საქართველოს კულტურის სამინისტრო სამი წლის განმავლობაში აშენებდნენ საცხოვრებელ სახლს. სახლის მშენებლობა დამთავრდა 1960 წელს, თებერვალში. აღნიშნულ სახლში ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო 13 კეთილმოწყობილი ბინა.

ბინებში ჩასახლდა 17 ოჯახი, — საზოგადოების წევრები და თანამშრომლები.

სადირექტივო ორგანოების განკარგულებით, საზოგადოებას დაუტოვეს ახალ სახლში ჩასახლებული ოჯახების ძველი ბინებიც. რომლებიც გადაეცა 13 ოჯახს. ამრიგად, საზოგადოებამ ბინებით დააკმაყოფილა 30 ოჯახი.

აღნიშნული სახლის მშენებლობაზე საზოგადოებამ დახარჯა ერთნახევარი მილიონი მანეთი.

საზოგადოების ბაღი

ზემდგომი ორგანოების ვადამწყვეტილებით საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას გადაეცა ყოფილი ძერჯინსკის სახელობის საზაფხულო ბაღი („სტელა“).

მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით კეთილმოეწყობა ბაღი. ჩატარდა კაპიტალური რემონტი. ძველი კინო-დანადგარები შეკვლილია ახალი საბჭოთა აპარატურით, ბაღში გადატანილია საზოგადოების ბიბლიო-

თეკა-სამკითხველო, რომლითაც თავისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ ბაღში დამსვენებლებმა. შესვლა ბაღში უფასოა და ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს ბაღით მთელი დღის განმავლობაში.

მთელი ზაფხულის განმავლობაში ბაღის ხშირი სტუმრები არიან მშობლები თავისი ბავშვებით.

ახალი უარითი

საზოგადოების პრეზიდიუმში, საწარმოო განყოფილება და გამომცემლობა „ხელოვნება“-ს მოსამსახურე პერსონალი 1956 წლის დამლევადმე მოთავსებული იყო ხელოვნების მუშაკთა სახლის ერთ 50 კვ. მეტრთან ოთახში (მახარაძის ქ. № 8-ში). ამ ოთახში ერთდროულად მუშაობდა 30 თანამშრომელი, რაც ძალიან ძნელებდა მიმდინარე საქმიანობას, მით უმეტეს, რომ საზოგადოების მუშაობა თანდათან იზრდებოდა და რთულდებოდა. პრეზიდიუმის მიერ მიღებული სათანადო ზომების შემდეგ,

საზოგადოებამ ზემოხსენებულ სახლში მიიღო დამატებით ექვსი ოთახი, სულ 230 კვ. მ. ფართობით. პრეზიდიუმმა საწარმოო განყოფილება გადაიყვანა ყოფ. ფ. ძერჯინსკის სახ. ბაღში; გამომცემლობა „ხელოვნებას“ ხალო-უყო 3 ოთახი 75 კვ. მ. ფართობით, ხოლო 4 ოთახში მოთავსდა პრეზიდიუმი თავისი განყოფილებებით. ბინა გარემონტებულია ლამაზად და სუფთად, დაგებულია პარკეტი, შეტენილია აუცილებელი საჭირო ინვენტარი. ამრიგად თანამშრომლებს შექმნილი აქვთ მუშაობის ნორმალური პირობები.

აგარაკი მანგლისში

ჩვენს საზოგადოებას მანგლისში აქვს 7 ოთახიანი აგარაკი. აგარაკი უზრუნველყოფილია ავეჯით. ამ სახლში, 1955 წლის შემდეგ, დაისვენა დაახლოებით 40 ოჯახმა. ამჟამად მიმდინარეობს აგარაკის კაპიტალური შეკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. უკვე გაყვანილია ახალი წყალსადენი და მიშენებულია

დამატებითი შუშაბანდი. გვემით გათვალისწინებული ყველა სამუშაოები უნდა დამთავრდეს 1961 წლის არა უგვიანეს პირველი ივნისისა. აღნიშნული ღონისძიების ჩატარებაზე საზოგადოება დახარჯავს დაახლოებით ხუთ ათას მანეთს.

სტამბის გაფართოება

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბა 1959 წლამდე ბეჭდავდა მხოლოდ-დამხოლოდ თეატრების და კულტსახლების აფიშებს, მოსაწყევ ბარათებს და სხვადასხვა ბლანკებს. 1959 წლის მეორე ნახევრიდან ჩატარდა სტამბის რეკონსტრუქცია და გაფართოება, რისთვისაც მას დამატებით გამოეყო დაახლოებით 300 კვ. მეტრი ფართობი. ამჟამად სტამბა (დირექტორი შალვა მებურიშვილი) გაფართოებულია, დადგმულია

ახალი საბეჭდი მანქანები და დანადგარები, მუშებისათვის შექმნილია მუშაობის კარგი პირობები. თუ წინათ სტამბის შენობაში ძლივს თავსდებოდა საერთოდ 27 მომუშავე, ახლა სტამბაში თავისუფლად მუშაობს ორმოცდაოთხი მომუშავე, რომლებსაც შექმნილი აქვთ ნორმალური სამუშაო პირობები. ახლა სტამბაში აფიშების გარდა იბეჭდება გამომცემლობა „ხელოვნებას“ წიგნები.



1. გიორგი ციციშვილი — „წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე“. რედაქტორი ვ. ჰელიძე, მხატვარი ს. ლამბაშიძე. ტირაჟი 3000. ფასი 15 მან. 10 კაპ.

2. პავლე ხუჭუა — „დუღე ძნელაძე“. რედაქტორი ალ. ადამია, მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 3000, ფასი 2 მან. და 50 კაპ.

3. მარიამ გარყული — „თეატრალური მოგონებანი“. რედაქტორი შალვა აფხაიძე. მხატვარი ლ. ცუცქერიძე. ტირაჟი 4000, ფასი 8 მანეთი.

4. მამია დუღურავა — „ხელოვნების პრობლემები“. რედაქტორი ერეკლე ქარელიშვილი, მხატვარი ირ. გორდელაძე. ტირაჟი 3000, ფასი 14 მანეთი.

5. ელენე ძიძაძე — „მიხეილ გვინჯა“. რედაქტორი პავლე ხუჭუა, მხატვარი ხ. ბალაზუფი. ტირაჟი 3000. ფასი 3 მან. 70 კ.

6. ბ. კანდელაკი — „სუბაზენი“. რედაქტორი შ. ხანთაძე, მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 3000, ფასი 1 მანეთი.

7. ნ. ჯაში — „მარქსი, ენგელსი, ხელოვნების შესახებ“. რედაქტორი გ. ნატრაშვილი. მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 3000 ფასი 7 მანეთი.

8. ოთარ ეგაძე — „ლენინი და ხელოვნება“. რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი, მხატვრები კ. ყარაშვილი და ა. ბალაზუფი. ტირაჟი 3000. ფასი 24 მან.

9. ალ. წერეთელი — „ქართული საბჭოთა პორტრეტული ქანდაკება“. რედაქტორი მამია დუღურავა, მხატვარი კ. ყარაშვილი, ტირაჟი 3000, ფასი 7 მან. და 40 კაპ.

10. მიხეილ სარაული — „კრებულები. რედაქტორი დიმიტრი ჯანელიძე. მხატვარი გ. დიკი. ტირაჟი 3000. ფასი 5 მანეთი.

11. თეიმურაზ ჯაფარლი — „ძმობის ზემი“. რედაქტორი როდიონ ქორქია. მხატვარი ალ. ჭელიძე. ტირაჟი 1500. ფასი 3 მანეთი და 40 კაპ.

12. სენო წერეთელი — „10,000 წარმოდგენა პერიფერიებში“. რედაქტორი ს. ვაჩნა-

ძე. მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 3000. ფასი 4 მან. და 30 კაპ.

13. ნინო ბახტაშვილი — „ნარკვევები ვოკალური განათლების ისტორიიდან“. რედაქტორი პროფ. შ. ასლანიშვილი. მხატვარი ი. ჯანაშვილი. ტირაჟი 3000. ფასი 13 მან. და 15 კაპ.

14. დიმიტრი შველიძე — „მომღერლის გზა“. რედაქტორი პ. ხუჭუა მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 3000. ფასი 2 მან. და 70 კაპ.

15. როდიონ ქორქია — „აკაკი ფაღვაძე“. რედაქტორი მის. მრეველიშვილი, მხატვარი გ. ქუთათელაძე. ტირაჟი 4000. ფასი 5 მან. და 40 კაპ.

16. დავით ჩხვიძე — „იუზა ზარდალიშვილი“. რედაქტორი ალ. ბურთიკაშვილი. მხატვარი ი. გუჯიევა. ტირაჟი 3000, ფასი 5 მანეთი.

17. გ. ივანიშვილი — „ვიწყებ საესტრადო კონცერტს“. რედაქტორი ალ. ადამია. მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 10000. ფასი 2 მანეთი

18. გვი გოგიჩაიშვილი — „ესეც ვაპტია“. რედაქტორი ალ. ადამია. მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტირაჟი 1000.

19. მიხეილ გიფიშვილი — „რეცესურის საკითხები“. რედაქტორი როდიონ ქორქია. მხატვარი ჯ. გოგუა. ტირაჟი 3000, ფასი 8 მანეთი.

20. გ. ბუნიაშვილი, აკაკი ვასაძე — რედაქტორი შალვა აფხაიძე. მხატვარი შ. ბერიტაშვილი. ტირაჟი 3000. ფასი 2 მანეთი.

21. ნოდარ დუმბაძე — „სოფლის ბიჭი“. რედაქტორი გ. აბაშიძე. მხატვარი ჯ. ლოლუა. ტირაჟი 10,000. ფასი 4 მან 40 კაპ.

22. ვახო კიკნაძე — „ემანუელ აფხაიძე“. რედაქტორი ალიო ადამია. მხატვარი ვ. ბაქრაძე. ტირაჟი 3000. ფასი 2 მანეთი.

23. შიხილ ქვლივაძე — „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის“. რედაქტორი აკ. გაწერელია. მხატვარი ლ. შენგელია. ტირაჟი 3000. ფასი 12 მან. 30 კაპ.

24. იოსებ ჭრიშაშვილი. — „თეატრალური წერილები“. რედაქტორი დავით ჩხეიძე. მხატ-

ვარი ჯ. ჯოჯუა. ტირაჟი 3000. ფასი 8 მანეთი.

25. ალ. ბურთიკაშვილი — „ციკვის ჯადოქარი“. რედაქტორი ზ. აბულაძე. მხატვარი ლ. შენგელია. ტირაჟი 20,000. ფასი 9 მან. და 60 კაპ.

ჩვენი „მოამბე“ 38 3

უმცვედრები თბილისში საგასტროლოდ ჩამოსულ კოლმეტირებთან

ღისუპტი ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრის საგასტროლო სპექტაკლებზე 4

ღისუპტი აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის აკადემიური დრამატიული თეატრის საგასტროლო სპექტაკლებზე 7

ღისუპტი კ. სტანისლავსკის სახ. მოსკოვის დრამატიული თეატრის საგასტროლო სპექტაკლებზე 10

ღისუპტი მოსკოვის ბოშათა თეატრ „რომენის“ საგასტროლო სპექტაკლებზე 14

კლენუმები და კონფერენციები

საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეხუთე მოწვევის მეოთხე პლენუმის მიმობილვა 16

სახალხო თეატრების მუშაობის საკითხებზე გამართული კონფერენცია 23

სპექტაკლ „ბახტრიონის“ განხილვა 26

საიუბილეო საღამოები

მეანული აფხაიძის საიუბილეო საღამო 28

საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავი 29

აკაკი წერეთლის საღამო 30

სასურველი სტუმრები (სომხეთისა და საქართველოს ხელოვნების მუშაკთა შეხვედრა) 31

მომხმ რესპუბლიკებში

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები მოსკოვსა და კიევში 33

საქ. თეატრალური საზოგადოება 1960 წელს 38

ქრონიკა 44

На правах рукописи

Т. О. Г.

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1961

№ I (15)